გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

E-mail: roland.jalagania@mail.ru

№346 (405) 13-20 იანვარი 2016 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და გაზეთი „ილორი“ გილოცავენ შობას და ახალ – 2016 წელს!

იგორ კეკელია: ედუარდ აიჰვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში დაცული ცნობები სამეგრელოს შესახებ

ვახუშტის რუკებისა და ნაშრომის მიხედვით “ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა” მდებარეობს ხორგისწყლის (ალბათ ხობისწყლის) აღმოსავლეთით, მაგრამ ეს შეცდომაა, და როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, აღნიშნული პუნქტი მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე გვ.3

აფხაზური მედია – საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ აფხაზები სამკურნალოდ საქართველოში ჩადიან

გვ.2

“წაეთრიე ჩემი ქვეყნიდან!” – სააკაშვილს უკრაინის შსს მინისტრმა წყლის ჭიქა ესროლა

გვ.4

მალხაზ გრიგოლია — კაცობრიობის პირველი ენა

უნდა ითქვას, რომ ბაბილონის გოდოლის წინანდელ, ერთიანი ენის პირდაპირ ნათესავ მეგრულ-ლაზურ ენას არ შეიძლება მოეპოვებოდეს ბარბარიზმები, რადგანაც ყველა სიტყვა ღვთისაგან შექმნილ პირველი ენისგან გამომდინარეობს. გვ.10

კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია)

დიდ ფეოდალებსა და რაინდებში რუსთაველი ხედავს მემკვიდრეობის გმირულ განსახიერებას მაღალი მორალისა და სილამაზის დასრულებულ სახეებს, აზროვნების გაშლილ ჰორიზონტს: გვ.7

გვ.6

ზურაბ კვარაცხელია – ჩემი სასიკვდილო აგონია 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო...

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

აფხაზური მედია – საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ აფხაზები სამკურნალოდ საქართველოში ჩადიან

აფხაზური საიტი sukhum-moscow.ru აფხაზეთიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამკურნალოდ ჩამოსვლასთან დაკავშირებით სტატიას აქვეყნებს, რომლის სათაურია: **"აფხაზების მკურნალობა საქართველოში: პოლიტიკა თუ ქველმოქმედება?"**

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ აფხაზები სამკურნალოდ საქართველოში ჩადიან, მაგრამ ბოლო დროს ამ საკითხზე უფრო ღიად საუბრობენ.

"ჩვენ ვეცადეთ გაგვერკვია, თუ რა აიძულებს ჩვენს მოქალაქეებს წავიდნენ სამკურნალოდ თბილისში და რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის – სიცოცხლე თუ პრინციპები.

აფხაზების მკურნალობა საქართველოში გარკვეულწილად ტაბუირებული თემაა ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, ერთი რამ ნათელია, დღეს საქართველოს სამედიცინო მომსახურებით ჩვენი ქვეყნის ასობით მოქალაქე სარგებლობს.

ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა პოსტი, რომელშიც აფხაზეთის მოქალაქე მადლობას უხდის ქართველ ექიმებს და ყველას, ვინც მისი უახლოესი ნათესავის გადარჩენაში დაეხმარა.

იშვიათია, რომ საქართველოს სამედიცინო მომსახურების მიღების შემდეგ კმაყოფილება ვინმემ ღიად დააფიქსიროს, რადგან ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი მკაცრად განსჯის მსგავს საკითხებს. თუმცა, ის, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დიდი ნაწილი მიმართავს საქართველოს სამედიცინო მომსახურებას – ეს რეალობაა. ამ პრობლემას ორი განმარტება შეიძლება მიეცეს: წმინდა ჰუმანური ან პოლიტიკური. ამ ყველაფრის საწყისი კი არის ჩვენს ქვეყნაში ეროვნული სამედიცინო მომსახურების კრიტიკულად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

ჩვენი ექიმების აზრით, აფხაზეთის ჯანდაცვას არ შეუძლია შესთავაზოს ხალხს ბევრი ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომელიც არსებობს საქართველოში", – ნათქვამია სტატიაში.

"ბევრწილად აფხაზეთის მოქალაქეების საქართველოში მკურნალობა დაკავშირებულია ეროვნული ჯანდაცვის უნდობლობასთან, რომელმაც დაიმკვიდრა ჩვენს საზოგადოებაში. მეორე – სამედიცინო აღჭურვილობის სიმწირე, რომელთა ფლობა შეიძლება ითქვას არალოგიკურიცაა, მათი მაღალი ფასისა და ჩვენი ქვეყნის მასშტაბის სიმცირიდან გამომდინარე. შესაბამისად ჩვენი მოქალაქე დგება არჩევანის წინაშე – სამკურნალოდ წავიდეს რუსეთში თუ საქართველოში. საქართველო ქმნის იმ პირობებს, რომ აფხაზეთის მოქალაქე ჩავიდეს მათთან და იმკურნალოს უფასოდ. აფხაზეთს ჰყავს კვალიფიცირებული ექიმები, პრობლემა კვალიფიკაციის ხარისხში არ არის, მაგრამ თუ აფხაზი ექიმები ვერ კურნავენ პაციენტს, მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაგზავნონ იგი რუსეთში, რადგან არ გვაქვს შესაბამისი ხელშეკრულება. ასე რომ, ადამიანები მიდიან იქ, სადაც იციან, რომ დაეხმარებიან. ასევე პრობლემაა ის, რომ გარკვეულ დარგებში ჩვენ სპეციალისტები არც გვყავს. კარდიოქირურგია, ბავშვთა ქირურგიის რამდენიმე მიმართულება, ალერგოლოგია, ინფექციონისტები და სხვა. საქმე, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ქართველი ექიმების პროფესიონალიზმის განსაკუთრებით მაღალ ხარისხში. ჩვენები საქართველოში მიდიან საჭიროების გამო, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ონკოლოგიას, უბედური შემთხვევების შემდგომ პოლიტრავმებს და ინფექციურ დაავადებებს, ასევე აიპ ინფექციას და C-ჰეპატიტს", – აცხადებს რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი რუსლან სმირი.

საქართველოს სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლე აფხაზებიც აცხადებენ, რომ შეუძლებელია ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების მიღება მრავალი მიმართულებით, მაგრამ არ ღირს ამ საკითხის პოლიტიზირება.

"მე წავედი სამკურნალოდ საქართველოში გინეკოლოგიური პრობლემის გამო. აფხაზეთში არ გვყავს ისეთი გინეკოლოგები, რომლებიც გინეკოლოგიურ ოპერაციას გამიკეთებდნენ. საქართველოში მყავს ნათესავები, რომელთა დახმარებით მოვხვდი ამ პროგრამაში. მე დამაწვინეს კერძო კლინიკაში. ეს ძალიან კარგი კლინიკაა და კარგი ექიმები ჰყავთ. იქ ასეა, თუ აფხაზეთიდან ხარ, ავტომატურად საუკეთესო კლინიკაში განთავსებენ. არავის შემოუთავაზებია დახმარების სანაცვლოდ მიმეღო საქართველოს მოქალაქეობა – ეს სისულელეა. ერთადერთი, რაც აღნიშნეს ქართველმა ექიმებმა, არის ის, რომ საქართველოში აფხაზეთიდან ბევრი ადამიანი მიდის სამკურნალოდ. მე არ ვნანობ, რომ ჩავედი საქართველოში, რადგან უპრობლემოდ ჩამიტარეს ოპერაცია და ეს საერთოდ არ ნიშნავს, რომ სამშობლოს ვუღალატე", – განაცხადა აფხაზეთის მოქალაქემ, რომელმაც გვთხოვა არ დაგვეკონკრეტებინა მისი ვინაობა.

"ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროს, აფხაზეთიდან საქართველოში სამკურნალოდ ცოტა ადამიანი მიდიოდა. საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მკურნალობის იდეის ავტორად შეიძლება ჩაითვალოს მიხეილ სააკაშვილი. მაგრამ, მისი მმართველობის დროს პროგრამა პოლიტიზირებული იყო. პროგრამით მოსარგებლეებს უნდა მიეღოთ საქართველოს მოქალაქეობა, ან, როგორც მინიმუმ, მიეღოთ ისეთი დოკუმენტები – მაგალითად დაზღვევა – რომელშიც მითითებული იყო საქართველოს მოქალაქეობა. და ეს ყველაფერი არ არის, სამკურნალოდ ჩასული აფხაზეთის მოქალაქეები საავადმყოფოს დერეფანში შეეჩეხებოდა სატელევიზიო გადაცემების გადამღებ ჯგუფებს, რომლებიც ამზადებდნენ მათზე სიუჟეტს. ერთი სიტყვით ეს კი იყო დახმარება, მაგრამ უმეტესწილად ეს იყო პიარი და წმინდა წყლის პოლიტიკა.

ახლა ყველაფერი უფრო მარტივია. დღეს, აფხაზების საქართველოში მკურნალობა არის წმინდად პირადი და არა "პოლიტიკური პროექტი". არავინ გაიძულებს მოქალაქეობის მიღებას, თუმცა ისევ შეუძლიათ მიგიღონ უფასოდ, თან საუკეთესო ადგილას. ახლა ეს ყველაფერი პიარი აღარ არის, მაგრამ პოლიტიკური მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, კვლავ აქვს.

ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს თუ ავიღებთ, მაგალითად, გალის მოსახლეობის მაგალითს, რომელთა უმეტესობას აქვს საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ არ შეუძლიათ ისარგებლონ მკურნალობის პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ საქართველოს კლინიკებში ყოველგვარი სირთულის გარეშე იღებენ როგორც აფხაზეთის მოქალაქეებს, ისე სხვა ეროვნების ადამიანებს", – აღნიშნულია სტატიაში.

"გალის მკვიდრებს არ მკურნალობენ ამ პროგრამით, რადგან ისინი არიან ქართველები და არიან საქართველოს მოქალაქეები. საქართველოში არის ფასდაკლება სამედიცინო მომსახურებაზე, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ გალის მაცხოვრებლებს. ექიმთან საჭირო ვიზიტიც შეუძლიათ ფასდაკლებით განახორციელონ. გალიდან თბილისამდე გზა 120 ლარი (56 დოლარი) ღირს, გარდა ამისა ყველაფერში გვიწევს თანხის გადახდა, რადგან არსებობს საპირისპირო პროცესიც – გალიდან სამკურნალოდ სოხუმში მიდიან ის ადამიანები, ვისაც აქვს აფხაზეთში შესვლისთვის საჭირო დოკუმენტები", – აცხადებს გალის რაიონის მცხოვრები.

"პოლიტიკური ქვეტექსტი არსებობს, თუ გადავხედავთ და გავაანალიზებთ ამ პროგრამის განვითარების პროცესს. 2016 წელს, თუ ყველაფერი წარმატებით დასრულდება, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, ზუსტად აფხაზეთის საზღვართან, დასრულდება თანამედროვე, მრავალპროფილური, 220 საწოლზე გათვლილი საავადმყოფო. იქვე შენდება 3 ვარსკვლავიანი სასტუმრო პაციენტის თანმხლები პირებისთვის. აქ იმუშავებენ საუკეთესო გამოცდილების მქონე ექიმები, რომლებიც ახლაც გადიან პროფესიულ გადამზადებას ევროპაში, რუსეთსა და ისრაელში. იგეგმება, რომ მკურნალობა აფხაზეთის მოქალაქეებისთვის იქნება უფასო. ქართული მასმედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საუბარი სწორედ ეთნიკურ აფხაზებს ეხებოდათ. მშენებლობას ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. პროექტის ღირებულება 20 მლნ დოლარამდეა. დასაქმდება 600-მდე ადამიანი. სიმბოლურია, რომ საბჭოურ პერიოდში სწორედ რუხში ტარდებოდა ქართულ-აფხაზური მეგობრობისადმი მიძღვნილი ფესტივალები. ახლა მეგობრობის სიმბოლურ დატვირთვას სამედიცინო ცენტრი მიიღებს.

აფხაზეთის მოქალაქეების სამკურნალოდ მასობრივ ჩასვლას საქართველოში, მითუმეტეს ომის პირობებში, მკაცრი რეაგირება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან, რამაც ხელისუფლება აიძულა გაემკაცრებინა აფხაზეთისა და საქართველოს საზღვრის კვეთის პირობები. მიღებული ზომების ეფექტურობა საეჭვოა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, ხშირად აფხაზ ექიმებს ესაჭიროებათ დახმარება ქართველი კოლეგებისგან, მაგალითად როცა ზუგდიდიდან სოხუმში ხდება რეანიმობილის გაგზავნა პაციენტის გადასაყვანად. მეორე – საქართველოში მოხვედრა ადვილია სოჭიდან, საიდანაც ბათუმშიც და ფოთშიც ჩასვლა შესაძლებელია საზღვაო ტრასპორტით", – წერს სტატიის ავტორი.

"პრობლემა ისაა, რომ პაციენტს შესაძლოა ესაჭიროებოდეს განსაკუთრებული მომსახურება, რაც არც თუ იშვიათია. ის რომ განვკურნოთ, ახალი საავადმყოფო უნდა ავაშენოთ, თუმცა პრობლემა მხოლოდ აღჭურვილობაში არ არის. ჩვენ არ გვაქვს რენტგენის აპარატი, რომელსაც შეუძლია დაადგინოს ლეიკოზი და იმისთვის, რომ აღნიშნული დიაგნოზით პაციენტები მოათავსო საავადმყოფოში, საჭიროა ცალკე კონკრეტულად მათთვის ააშენო კლინიკა. ჩემს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როცა უნდა ამომეღო ნაღვლის ბუშტიდან კენჭები, რომლებიც გადასული იყო მილებში. უკვე მილებში გადასული კენჭის ამოღება ჩვენ ვერ შევძელით და ამიტომ იძულებული გავხდით პაციენტი რუსეთში გაგვეგზავნა",– აცხადებს ქირურგი რუსლან სმირი.

"პრობლემის ნაწილის მოგვარება შესაძლებელი იქნება, თუ აფხაზეთისა და რუსეთის ჯანდაცვის სისტემების ურთიერთთანამშრომლობა დარეგულირდება ფორმალური სახით და პაციენტს შეეძლება მიიღოს საჭირო მომსახურება. მაგრამ, მთლიანობაში, ეს ვერ შეძლებს კონკურენცია გაუწიოს ქართულ მედიცინას და ამან საბოლოო ჯამში იქონიოს კონკრეტული პოლიტიკური ასახვა.

ადამიანთა წრე, რომლებიც საქართველოში გადაარჩინეს, ფართოვდება. ამის გამო მათი ახლობლებიც, ნათესავებიც საკმაოდ ლოიალური და დადებითი შეხედულების მქონე ხდებიან ამ ქვეყნის ხალხის მიმართ. ამაში არაფერი იქნებოდა ცუდი, თავად საქართველოში აფხაზეთს რომ აღიქვამდნენ, როგორც მეზობელს, რომელთანაც აუცილებელია ნორმალური ურთიერთობის დამყარება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ შორსმიმავალ პოლიტიკურ გეგმებს და ჩვენი ქვეყნის საქართველოსთან ინტეგრაციას, ეს შორეული პერსპექტივაა.

მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყანა უკვე შედგა, როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური კომპლექსი დაფუძნებული თვითიდენტიფიკაციაზე, რაც ხელისუფლების უდავო ღირებულებას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, უნდობლობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით მიდიან საქართველოში და მათი პატრიოტიზმის ეჭვქვეშ დაყენება, არის ცნობიერებაში ღრმად დალექილი კომპლექსი წარსული ეპოქიდან.

არსებობს საკითხის მესამე მხარეც. ჩვენ ვცხოვრობთ ადამიანური რესურსების შეუზღუდავ ეპოქაში. ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ მათთვის სასურველი გარემო, საცხოვრებელი ადგილი. წავიდნენ იქ, სადაც უკეთესი პროდუქტია, სადაც მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებაა და სადაც შესაძლებელია იშრომო და მეტი გამოიმუშავო. ქვეყნები ერთმანეთს უწევენ კონკურენციას ადამიანური კაპიტალის გამო. დღეს ჩვენს წინაშეა ქვეყანა, რომელსაც სურს იყოს მიმზიდველი აფხაზეთის მოქალაქეებისთვის. საქართველოში არ არის ისეთი ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია შექმნას განვითარების ცენტრი, მიიზიდოს შრომითი რესურსები აფხაზეთიდან. ამ ქვეყანას არ აქვს შესაძლებლობა შექმნას აფხაზებისთვის მიმზიდველი გარემო, მაგრამ იქ, სადაც ქართველებს შეუძლიათ, იგებენ ამ ბრძოლას სიცოცხლის მაღალი ხარისხისთვის.

დღეს პრობლემა არ არის ის, რომ ხალხი იქ სამკურნალოდ მიდის. პრობლემა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მუდმივ კომპლექსშია. ჩვენ დავკარგავთ ადამიანურ რესურსებს და არ არის აუცილებელი, რომ ქვეყანა სადაც ხალხი წავა იყოს საქართველო. ძალიან ბევრი ადამიანი თავისი ცხოვრების სამომავლო გეგმებს უკავშირებს რუსეთს და სხვა ქვეყნებს. სანამ ჩვენთან არ დაიწყება ნამდვილი განვითარება, ჩვენ ყოველთვის წავაგებთ ბრძოლას ჩვენი მომავლისთვის", – აცხადებს სტატიის ავტორი სტელა ადლეიბა.

აღნიშნული სტატიის ქართული თარგმანი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაავრცელა.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ — 2016 ᲬᲔᲚᲡ!

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲐᲘᲰᲕᲐᲚᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

სალხინოდან რამდენიმე საათის შეუსვენებელი მგზავრობის შემდეგ აიჰვალდი სწვევია კირქვიანი მთის წვერზე აღმართულ **წაქვიშის ციხეს**. ესაა თანამედროვე ჭაქვინჯის ციხე. **"ის არც განსაკუთრებით დიდია და არც ძალიან ძველი. გალავანზე შეინიშნება რამდენიმე პატარა კოშკი, ალბათ ჯარისკაცებისთვის სათოფურებად (ამბრაზურებად). ციხეში არის ეკლესია, რომელიც ვერ ვნახე, რადგან შიგნით არ შემიშვეს დადიანის საგანგებო ნებართვის უქონლობის გამო, რაც საამისოდ აუცილებელი ყოფილა. მცველებს უმკაცრესად ჰქონდათ ნაბრძანები, მისი ნებართვის გარეშე არავინ გაეტარებინათ. თუმცა სამხედრო მეციხოვნე რაზმი არ დგას, მაგრამ რამდენიმე ზარბაზანი კი არის ციხეში. ციხისაგან 60 ბიჯის მოშორებით შიშველ მოედანზე იდგა ერთადერთი კოშკი, რომლის შესახებაც მითხრეს, რომ მას ციხესთან ჰქონდა მიწიქვეშა დამაკავშირებელი გვირაბი. ერთ-ერთმა უწინდელმა მბრძანებელმა ეს ციხე ააშენა თურქების წინააღმდეგ"** (იქვე, 184).

ვახუშტის რუკებისა და ნაშრომის მიხედვით **"ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა"** მდებარეობს ხორგისწყლის (ალბათ ხობისწყლის) აღმოსავლეთით, მაგრამ ეს შეცდომაა, და როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, აღნიშნული პუნქტი მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე (ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. **"საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული"**. ტ. IV, თბილისი, 1971, 58).

ვახუშტის თვით ციხის სახელწოდებაც განსხვავებული ფორმით აქვს მოცემული. უფრო ადრინდელ, ლევან II დადიანის 1640 წლით დათარიღებულ წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერაში დასახელებულია **"ჭაქვინჯის"**, ხოლო მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – **"ჭაქვიჯის"** ფორმით. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია **"ჭაქვიჯი"**. ნ. დადიანი რამდენჯერმე ასახელებს ტოპონიმ **"ჭაქვიჯს"**. მოგვაქვს საილუსტრაციო მასალა **"ქართველთ ცხოვრებიდან": "ხოლო ოდიშს იყო ციხე ჭაქვითისა, გამაგრებული მხეიძის პეტრე ბეჟანის ძისაგან..."; "დროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ჭაქვიჯისასა..."; "შემდგომად წარსვლისა დედისა თვისისა მთავარმან ჩვენმან ლეონ დადიანმან მოიყვანა მეუღლედ ზურაბ წერეთლის ასული მართა და ჰქმნა დიდი და სახელოვანი ქორწილი ჭაქვიჯს"** (დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 236). XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ოდიშში მიუთითებს ჭაქვინჯის ციხეს (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, 188, 199, 325).

გადავხედოთ ვახუშტის შემდგომდროინდელ, XIX საუკუნის საარქივო მასალებსაც. სამეგრელოს ეპარქიის 1838 და 1846 წლების სტატისტიკურ აღწერილობაში დასახელებულია ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესია. 1864 წლის საარქივო დოკუმენტში (ფონდი 489, აღწ. 6, საქმე №1724) მოიხსენიება ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დიანოზ შელია და მედავითნე (**"პრიჩეტნიკი"**) გიორგი შელია; ასევე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი რომანოზ შენგელია და მედავითნე ათანასე ანთელავა (ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბილისი, 2010, 60, 61, 71).

ამჟამინდელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზუგდიდიდან 16 კმ დაშორებით, ზ. დ. 130 მ სიმაღლეზე, ნარაზენისა და ჯიხაშკარის საკრებულოებს შორის მდებარეობს ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეული. ციხე აგებულია ჯიხაშკარის ტერიტორიაზე. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით აღნიშნული სოფლის ოფიციალური სახელწოდებაა **ჯიხასკარი**, ხოლო თვით ციხესიმაგრე, რაც სოფლის ცენტრის დასავლეთით, მაღალ გორაზე დგას, **ჯიხას** სახელითაა ცნობილი.

წერილობით წყაროებში გვხვდება ტოპონიმის განსხვავებული ფორმაც – წაქვიში. კერძოდ, ლევან V დადიანის მიერ წალენჯიხის დეკანოზ ნიკოლოზ თვალთვაიასათვის ბოძებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: **"ამისი მოწმე წაქვიშის ციხის და მისი შემავალის, თქვენი მოურავი მხეიძე პეტრე"** (ქუთაისის მუზეუმი, საბ. №1503).

პ. ცხადაიას მსჯელობით, ახლანდელ ჭაქვინჯის უწინდელი სახელი ქუატახტი იყო, ხოლო ჭაქვინჯი უფრო ჯიხაშკარს ერქვა (ცხადაია პ, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი. თბილისი, 2007, 352).

პროფ. შ. მესხია ვარაუდობდა, რომ ჭაქვინჯში უნდა ყოფილიყო ეგრისის მმართველის – ქუჯის ციხე-სიმაგრე. ქუჯის ჯიხას ანუ ჯიხა-ქუჯის **"ჭაქვინჯად"** გადაქცევა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ მკვლევრები საბოლოო და გადამწყვეტი დასკვნის გაკეთებისგან თავს იკავებდნენ, ვინაიდან ასეთი დასკვნა ციხის ნაშთების საფუძვლიან არქეოლოგიურ შესწავლაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული (პაჭკორია მ., ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს. თბილისი, 1975, 33).

სოფლის სახელწოდება ჭაქვინჯის ფორმით არაერთხელ გვხვდება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც (სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1971, 18, 19, 65, 74; სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. ეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979, 155).

ტოპონიმ **"ჭაქვიჯის"** ეტიმოლოგია გარკვეული არაა. ა. ქობალიას **"მეგრულ ლექსიკონში"** მოცემულია შემდეგი მნიშვნელობები: **„ჭაქვინჯი ჭის ფსკერი; ზოგან განმარტავენ როგორც ჭანთა ნაფუძარს, ჭანთა ქვედა ციხეს"** (ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010, 707). ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სიტყვა **ქვინჯი** ფიგურირებს სამეგრელოში ჩაწერილ რამდენიმე ტოპონიმში. მაგალითად, **ქვაბ(ი)ქვინჯი** – ფერდობი სახნავით, აბაშის მარჯვენა ნაპირზე (ბობოთი). **ქვაბი** იგივეა, რაც მღვიმე, გამოქვაბული; **ქვაბქვინჯი "მღვიმის (გამოქვაბულის) ძირი"** მეტაფორულად აღნიშნავს ჩავარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს (კეკელია ი., მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, 62). საყურადღებოა ტოპონიმ **"ქვიჯეს"** დადასტურებაც. ასე ეწოდება ხევსა და ღელეს სოფ. ქვაითში, რაც მარჯვნიდან შეერთვის ნოდას, საკირესთან. **ქვიჯეც** მეტაფორული ოროგრაფიული ნომენია და როდინივით (მეგრ. **ქვიჯა, ქვიჯე**) ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს. ქვინჯა, ქვინჯე, ქვინჯი გადატ. იგივეა, რაც ძირი, ფსკერი (იქვე).

ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრე მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ოდიშის საერისთავოში ჭაქვინჯის ციხე გამორჩეული იყო თავისი სიდიდითა და ძლიერებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენდა საერისთავოს ცენტრს (ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. **„საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული"**. ტ. III, თბილისი, 1967, 141). ციხის არქეოლოგიურ შესწავლას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია, პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. აღმოჩენილი ნივთიერი საბუთებით აქ დასტურდება მშენებლობის სამი ფენა: III-IV სს., დაახლ. VIII-IX სს. და XVI-XVIII სს. მშენებელს ციხის ასაშენებლად მოხერხებული ადგილი შეურჩევია. ესაა საკმაოდ მაღალი მთა ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, საიდანაც თვალწინ იშლება ოდიშის დაბლობი და ზღვისპირეთი. მაშასადამე, აიჰვალდის ცნობა, რომ ეს ციხე მისმა ერთ-ერთმა მფლობელმა უწინ თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად ააგო, დაზუსტებას საჭიროებს: ციხე თურქობამდე ბევრად ადრე, ადრეულ შუა საუკუნეებშიც მოქმედი ყოფილა.

მთის მაღალ წვერზე აგებული და გრძელი ელიფსის ფორმის ციტადელთან მისასვლელი გზა ადრე დასავლეთიდან ყოფილა, ამჟამად კი აღმოსავლეთიდან უვლის. კედლები ირეგულარული გეგმისაა. რელიეფის თავისებურების შესაფერისად განლაგებული კოშკები მრავალჯერ დანგრეულა და აღუდგენიათ. ციხის ადვილად მისადგომი ჩრდილოეთი მხარე სამი კოშკითაა გამაგრებული. ეგრისის სამეფოს ძლიერების პერიოდის კოშკების თლილი კვადრებით აგებული ქვედა ნაწილი ყრუა, რაზეც მოგვიანებით სხვადასხვა დროს სამი სართული დაუშენებიათ. ერთი კოშკი მოგვიანებით დაუდგამთ აღმოსავლეთითაც.

ციხის პირველი ფენა – IV–V სს. ოთხკუთხა გალავნის ნაშთები არქეოლოგებმა გამოავლინეს სწორედ ჩრდილოეთით მდგარი კოშკებიდან განაპირას. მოგვიანებით ციტადელის შიგნით ორსართულიანი პალატი და სასახლეც აუგიათ. ციხის დიდი მასშტაბით გადაკეთება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნას უკავშირდება. ესაა მტრის მიერ მიყენებული დიდი ნგრევის შემდეგდროინდელი აღდგენითი სამუშაოები, რაც გამოიხატა აღმოსავლეთის კოშკისა და ჩრდილოეთის სამი კოშკიდან შუაში მდგარი კოშკის ხელახალ აშენებაში. ამავე ხაზზე მდგარი განაპირა კოშკებისათვის დაუშენებიათ ახალი სართულები სვანური სალოდეებით. იმავე ეპოქით თარიღდება დარბაზული ეკლესია, რაც ფართის გათვალისწინებით გარნიზონისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მას დასავლეთით სათავსი აქვს. ამ უკანასკნელის ქვეშ გამართული აკლდამა კი ეკლესიის ამგებისა და მისი ოჯახის წევრთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. სამხრეთი და დასავლეთი კედლების თაღედის სისტემითა და დეტალებით ეკლესია XIII-XIV სს-თა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

XV-XVI სს-თა მიჯნაზე ციხის მასშტაბი ბევრად გაუზრდიათ და ციტადელის ჩრდილოეთით ახალი ციხე აუგიათ. ციტადელის კედლებს საბრძოლო ბილიკები მიუყვებოდა, რისი ნაშთებიც დღესაც შეიმჩნევა. ციტადელი ქვედა ციხის რამდენიმესართულიან კოშკს გვირაბით უკავშირდებოდა. ქვედა ციხის გალავნის კედლები პირწმინდადაა დანგრეული.

ვახუშტის ცნობა, რომ ჭაქვინჯის ციხე **"დიდნაშენი"** იყო, დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით. აქ გამოვლენილი პალატის ნაშთები, რაც თავის დროზე ორსართულიან კაპიტალურ შენობას წარმოადგენდა, მიუთითებს იმაზე, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჭაქვინჯი ციხე-დარბაზად ქცეულა (ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ციხეგოჯი-ნოქალაქევი. თბილისი, 1984, 54-56).

ჭაქვინჯის ციხესთან გამოივლიდა გზა, რაც სამეგრელოს ტოპონიმიაში **"შქა სამარგალოშ შარას"** სახელითაა ცნობილი. დადიანების ამ ადგილას მკვიდრობაზე მიუთითებს ტოპონიმური მასალაც. მაგალითად, ერას ხეობის მარჯვენა ნაპირას, დობერას სერზე, ისტორიული ციხის მახლობლად, მაღლობზე მდებარე ბორცვს **ნადოხორუს//დადიაშ ნადოხორუს** ეძახიან, სადაც, გადმოცემით, მდგარა დადიანის სასახლე. ასევე ციხის მახლობლად, მაღლობზე მდებარე მინდორს ნაბუხარუ ეწოდება. სწორედ აქ, ამ სასახლეში დაბადებულა დავით ლევანის ძე დადიანი. მოგვიანებით სასახლე დაურღვევიათ და ბუხრის ნაშთი დარჩენილა. ასევე ერწყარის, ჭანისწყლისა და წკვიბღალის შესართავთან, რახვინად წოდებულ ჭალაში მდებარე ბორცვს ადგილობრივი მოსახლეობა **ნამარანუს//დადიაშ ნამარანუს** უწოდებს (ჯიხაშკარი). ასევე სოფლის ჩრდილოეთით, ალერტკარის საზღვართან მდებარე ტყეს **სადადიო ტყა** ერქვა. სამწუხაროდ, ამ ტოპონიმების დათარიღება ჯერჯერობით ვერ შევძელით.

შემდეგი პუნქტი, რასაც ედუარდ აიჰვალდი ასახელებს, დადიანის საზაფხულო რეზიდენცია **ზუგდიდია**. მოგზაური გვაუწყებს, რომ დადიანებმა თავიანთი რეზიდენცია აქ ორიოდე საუკუნის წინ გადმოიტანეს და დასახლდნენ, თუმცა ახლა ეს სახლები მეტწილად დანგრეული იყო. ამჟამინდელმა დადიანმა ლევან გრიგოლის ძემ ერთი წლის წინ დაიწყო ქვის ძალზე მაღალ საფუძველს დაყრდნობილი ახალი მშვენიერი სასახლის მშენებლობა. მშენებლები რუსი ჯარისკაცები არიან, რომელსაც დადიანი დღიურ საფასურს უხდის. ხის მთავარი შენობის გარდა აიჰვალდი მთავრის ეზოში ასახელებს კიდევ რამდენიმე დამატებით ნაგებობას, რასაც ფლობენ დადიანის ამალის წევრი თავადები (იქვე, 185).

ზუგდიდი გაშენებულია მდ. ჩხოუშიის ორივე მხარეს, ოდიშის დაბლობზე, ზ. დ. 110 მ-ზე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით **„...დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდეგოდლიანი"** (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 778). სასახლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტის წინამორბედი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ოდიშში XVII ს. 30-40-იან წლებში ცხოვრობდა. **"მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს,** – წერს ლამბერტი, – **რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე. იგი აგებულია საუცხოო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სიდიდე-სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და ირანული მხატვრობის სიმშვენიერით"** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011, 55). მისიონერ დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატის მიხედვით, რომელიც 1634 წლიდან მოღვაწეობდა სამეგრელოში, გვეძლევა შესაძლებლობა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ზუგდიდის დადიანისეული სასახლის გარეგნულ იერსახეზე. ამ ჩანახატს დართული აქვს შემდეგი წარწერა: **"მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში. სამეგრელოს მთავრის სახლი. ეს ნაგებობა ანუ სასახლე სამეგრელოს მეფის სოფელშია"** (კასტელი დონ კრისტოფორო, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1976, 172, სურ. 445). ირკვევა, რომ ზუგდიდი სარეზიდენციო პუნქტად გადაქცეულა XVII საუკუნეში, კერძოდ, ლევან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამის შესახებ გვაუწყებს ლამბერტის თანამედროვე დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, თავის რელაციაში: **„სამეგრელოს ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც დღევანდელი მთავრის ლევან დადიანის მიერაა აშენებული. ვინაიდან სასახლეს კარგი საძირკველი არ ჰქონდა, ამიტომ ნაწილობრივ ჩამოინგრა"** (მილანელი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1964, 84-85). ჯუდიჩე აქ სწორედ ზუგდიდის სასახლეს გულისხმობს.

დადიანის რეზიდენციაზე ცნობები დაცულია მოგვიანო ხანის წყაროებშიც. ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის – ჟაკ ფრანსუა გამბას სამოგზაურო ჩანაწერებში (XIX ს. 20-იანი წლები) ვკითხულობთ: **"მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი"** (გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამერკავკასიაში, 114). ზუგდიდი მოუნახულებია ცნობილ გერმანელ მეცნიერ-მოგზაურს – მორიც ვაგნერს, რომელიც გვაუწყებს, რომ ზუგდიდი ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი და ძველთაგანვე სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია (მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი, 2002, 142-143).

აიჰვალდი ასახელებს **ანაკლიის** დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. მისივე ცნობით, აღნიშნული ციხე ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანს. 1779 წელს ანაკლიის ციხეს დაპატრონებია აფხაზეთის მთავარი ქელეშ ბეი შერვაშიძე, ხოლო მაშინდელი მმართველი მთავრის – გიორგის უფროსი ვაჟი და მემკვიდრე, მცირეწლოვანი ლევანი მძევლად აუყვანია. რუსეთის მთავრობამ ქელეშ ბეი აიძულა, რომ ახალგაზრდა მთავარი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა (იქვე, 214). აიჰვალდი გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: **"რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძევს ანაკლია"** (იქვე, 211).

შავი ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. მასზე ცნობები დაუცავს აგრეთვე იაკობ რაინეგსს, რომელიც ამ დასახლებულ პუნქტს შეცდომით ენგურის მარჯვენა ნაპირზე მიუთითებს და აღნიშნავს: **"...მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე ანაკლია. ეს არის აფხაზეთის მთავრის ლევან შერვაშიძის რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საჟენია, სიგანით – ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საჟენი სიმაღლისა და ხუთი ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისაა"** (რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში, 108).

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ისტორიის დოქტორი

(გაგრძელება შედეგ ნომერში)

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

“წაეთრიე ჩემი ქვეყნიდან!” – სააკაშვილს უკრაინის შსს მინისტრმა წყლის ჭიქა ესროლა

ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის შსს მინისტრი არსენ ავაკოვი არაფორმალური შეირაღებული ფორმირებების კონტროლში დაადანაშაულა, რომელთაც, მისი თქმით, ავაკოვი კორუფციული შემოსავლებიდან აფინანსებს.

“მან თავს უფლება მისცა არა მხოლოდ უხამსად ელაპარაკა ჩემზე, არამედ პირდაპირ დამმუქრებოდა. ეს არის ადამიანი, რომელიც ნამდვილად აკონტროლებს არაფორმალურ შეიარაღებულ ჯგუფებს”, – განაცხადა ოდესის გუბერნატორმა რეფორმების ეროვნული საბჭოს სხდომაზე, შსს-ს მინისტრთან ჩხუბის შემდეგ.

“კატეგორიულად მოვითხოვ პრეზიდენტის პრესსამსახურისგან გამოაქვეყნოს პრემიერ-მინისტრისა და შს მინისტრის უღირსი და პროვოკაციული ქმედებების სრული ვიდეოჩანაწერი რადას რეფორმებზე. ვიდეოჩაწერა სამი კამერით ხდებოდა და უკრაინელ ხალხს აქვს სრული უფლება ნახოს და იცოდეს, ვინ მართავს მათ. მე პასუხს ვაგებ იქ ნათქვამ თითოეულ სიტყვაზე. დადგა დრო, სუბიექტებმა, რომლებმაც ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანეს, პასუხი აგონ საკუთარ სიტყვებსა და ქმედებებზე”, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

ავაკოვმა კი განაცხადა, რომ სააკაშვილთან ჩხუბის დროს, მან ოდესის გუბერნატორს სახეში წყალი შეასხა. სხდომაზე მან სააკაშვილი დაადანაშაულა რუს ოლიგარქთან ურალხიმის ერთ-ერთი მსხვილი ქარხნის თაობაზე მოლაპარაკებაში. ავაკოვის თქმით, სწორედ ამის შემდეგ დასდო სააკაშვილმა მას ბრალი კორუფციაში.

“მე თავი შევიკავე, რომ მისთვის არ დამერტყა და სახეში წყალი შევასხი. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი შეშლილი პოპულისტი... არაფრის თქმის საშუალებას არ იძლეოდა, ყველას აწყვეტინებდა, მათ შორის პრეზიდენტსაც.

სააკაშვილი – ყბედია, რომელიც არაფერზე პასუხს არ აგებს... საკმარისია ჩემთვის არტისტები და ცირკის მსახიობები. საჭიროა მუშაობა და არა მეტიჩრობა! უხერხული კითხვები ისტერიკას იწვევს? – საკმარისია... არ ვაპირებ ავიტანო აგრესიული არამზადა, რომელიც ხმამაღალ სიტყვებს ეძებს თანამდებობის დატოვებისთვის, რომელმაც ჩააგდო სამუშაო თავის უშუალო სამუშაო ადგილზე. არ ვაპირებ ავიტანო თავხედი, რომელიც ჩემს ქვეყანას ატყუებს ლამაზი პოზით – ყველა ნეხვია და ის კი სუფთა... კორუმპირებულები უნდა დააპატიმრო, კი არ უნდა ილაპარაკო მათზე თვეობით და არ წარმოადგინო ფაქტები. თუ საყვარელიძე არ არის დაკავებული ამ ქარხნით? რა შუაშია აქ სააკაშვილის საუბრები ურალხიმთან?

ქარხანა ღიად უნდა გაიყიდოს – დასავლურ სახელოვან კომპანიაზე და არა ოფშორზე – რუს ოლიგარქზე, რომელთანაც ლაპარაკობენ ჩინოვნიკები, რომლებიც ხმამაღალ ფრაზებს არიან ამოფარებულები.

უბრალოდ, საჭირო იყო სააკაშვილისთვის პასუხის გაცემა... მან კი აიწყვიტა... უწყინარმა კითხვამ ისტერიკა და შეურაცხყოფა გამოიწვია... ქურდს ქუდი აეწვა?!” – წერს ავაკოვი **“ფეისბუკში”**.

პრემიერ-მინისტრმა იაცენიუკმა კი სააკაშვილს **“გასტროლიორი”** უწოდა, რაც სრული ჭეშმარიტება გახლავთ.

“აი, რა მინდა ვუპასუხო იაცენიუკს, რომელიც “გასტროლიორს” მეძახის, აქედან არსად ვაპირებ გამგზავრებას, მე სიამაყით ვატარებ უკრაინის პასპორტს, რომელიც ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა, მე მათ არ მივცემ საშულებას გაქურდონ ჩემი საყვარელი უკრაინა. ჩემ გარდა დღეს არაერთი ქართველია უკრაინაში, სულ რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთი ქართველი მერძოლი ნაღმზე აფეთქდა, მანამდე დაიღუპა არაერთი. ასევე, ასობით ქართველი მებრძოლი კვლავაც აგრძელებს ლუგანსკში ბრძოლას, იაცენიუკი გაბედავს და მათაც “გასტროლიორებს” უწოდებს?! მინდა, მივმართო ჩემს საყვარელ უკრაინელებს და მოვუბოდიშო იმ ხელისუფლების გამო, რომლის წევრიც მე ვარ და რომელმაც ხალხი ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა”, – განაცხადა სააკაშვილმა. (ფაქტია, რომ დემაგოგიაში მართლაც არ ჰყავს ბადალი არაკაც სააკიანცს, რომელიც ამჯერად **“დიდოსტატურად”** სპეკულირებს მის მიერვე უკრაინაში მოტყუებით ჩაყვანილი ქართველი მოხალისეების სიცოცხლით – **“ილორი”**).

შეგახსენებთ, სააკაშვილი უკვე არაერთხელ გამოვიდა პრემიერისა და მთელი მთავრობის მძაფრი კრიტიკით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან **“ფეისბუკის”** საშუალებით მიმართა პრეზიდენტის პრესსამსახურის ადმინისტრაციას და მოსთხოვა გამოქვეყნდეს ამ სხდომის სრული ვიდეოჩანაწერი, რათა ყველამ ნახოს რეფორმების საბჭოს სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის **“პროვოკაციული და უღირსი საქციელი”** და ასევე **“სახედაკარგული”** პრემიერი.

“სხდომას სამი კამერა იღებდა, უკრაინელ ხალხს სრული უფლება აქვს ნახოს, თუ ვინ მართავს მათ ქვეყანას, მე ჩემ მიერ ნათქვამ ყველა სიტყვაზე ვაგებ პასუხს”, – განაცხადა სააკაშვილმა.

ამასთანავე დეპუტატმა სერგეი ლეშჩენკომ განცხადა, რომ სხდომის დროს არსენ ავაკოვმა სააკაშვილს წყლის ჭიქა ესროლა და მოუწოდა: **“წაეთრიე ჩემი ქვეყნიდან!”**

რედაქციის კომენტარი: *როგორც ხედავთ, უკრაინელებმა ბევრად უფრო სწრაფად გაშიფრეს სააკაშვილის ინტრიგანული პოლიტიკური შიგთავსი და უტიფრობაზე დაფუძვნებული კარიერიზმი. საამისოდ კი, ჩვენ – ქართველებს – ცხრა წელიწადი დაგვჭირდა და ამიტომაც გვიწოდებენ სომხები “გიჟ-ერაცუას”. მაგრამ უკრაინული გამჭრიახობა მაინც სომხურ ფაქტორზეა დაფუძვნებული, რადგან უკრაინის შს მინისტრი ავაკოვი, რომელმაც მყისიერად დაადგინა სააკაშვილის ვერაგული განაზრახი, ეროვნებით სომეხია და მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოდგენდა თვისტომის სულიერ სამყაროში შეღწევა. ამრიგად, ეთნიკურ სომეხ (ქართველ) ავანტიურისტ სააკიანცის გარშემო ჯაჭვს ნელ-ნელა ჰკრავს ასევე ეთნიკური სომეხი (უკრაინელი) ავაკოვი, რაც სასიკეთოს არაფერს უქადის საქართველოდან გადახვეწილ პირწავარდნილ დამნაშავეს! რაც შეეხება უკრაინელებს, ჰქონდათ რა სახეზე სააკიანცთან დაკავშირებული საქართველოს მწარე გამოცდილება, კარგად უნდა ცოდნოდათ, რომ უკრაინულ პოლიტიკურ წიაღში ამერიკელების მიერ “შეთესლილი” ეს ვაიპოლიტიკოსი სასიკეთოს არაფერს მოუტანდა მათ ქვეყანას!*

ანუ, ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის სიტყვებით თუ დავაკონკრეტებთ – “არც ერთი იყო უკრაინელი და არც მეორე – ქართველი. ორივენი სხვის მიწებსა და მდიდარ წარსულს დახარბებული სომხეთის შვილები იყვნენ”!

საქართველოს სულიერ–რელიგიური მდგომარეობა

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

“ქართველი ხალხი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს, ანუ მას ქრისტეს მეორედ მოსვლა სურს. აი, რა უნდა ქართველ ხალხს ქვეცნობიერად.”

მ. ქართველი

დიახ, მეგობრებო, კაცობრიობის ათასწლეულების სიღრმეებში ცივილიზაციის ეპოქალურ-იერარქიულ საფეხურებზე აყვანასა და დედამიწიერ პროგრესულ საქმიანობას ახორციელებდა კაცობრიობის წინამძღოლი სულიერ-გენეტიკური რასა და ამ რასის მიერ შობილმა ადამიანის გონებრივ-ცნობიერმა სუბსტანციამ შექმნა დედამიწაზე არსებული მსოფლიო ფასეულობები.

სახელმწიფოს აშენებენ იდეალისტები და პატრიოტები, ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს – კარლ გუსტავ მანერჰაიმერის მამხილებელი შთაგონება დღეს აქტუალურია საქართველოში.

ასევე, ესაია წინასწარმეტყველი მიგვანიშნებს: **“სარდლებად ბიჭ-ბუჭებს დაგიყენებთ და ქარაფშუტები იბატონებენ თქვენზე”.** (ეს 45,7)

სამყაროში, შემოქმედი უფლისგან არის ყოველი და ყოველივე.

უფლისგან არის თითოეული ადამიანი და მათი მოღვაწეობაც, მათ შორის ადამიანი, რომელმაც ქართული ანბანურ-რიცხობრივი, კოდური შიფრი გახსნა, ღვთაებრივი ბიბლიისა და სახარების საიდუმლო ინფორმაცია გააღო, ოთხი ათასი წლით მიძინებული ქართულ-ლაზარე ენის აღდგომა აუწყა კაცობრიობას და ა.შ. (გირჩევთა წაიკითხოთ თეოლოგის მ. ქართველის მეცნიერულ-რელიგიური კვლევები).

ასევე უფლისგან არის პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული, თანადგომა და თავგანწირვა, რომლებიც იყვნენ, არიან და ქმნიან მომავალს.

ასევე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ადამიანი, რომელიც ფანატიკური გრძნობით გამოირჩევა სამშობლოსა და ერის სიყვარულში, რომელმაც ჯერ კიდევ ცხრამეტი წლისამ უარი უთხრა ყოველივე პირადულს (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) და ჩაერთო ერის სამსახურში, რომელმაც ეროვნულ გმირებთან ერთად გამოიარა საქართველოს ქარტეხილები და დღეს **“შესაშური”** სიყვარულით, ენერგიით, პატრიოტული სიწმინდით თავს დასტრიალებს საქართველოს და ყველა გასაჭირში მყოფ ადამიანს.

ეს ადამიანი გახლავთ **“საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის”** ლიდერი – ქალბატონი თამარ დადიანი.

ასევე უფლისგან არის კავკასიური, ლაზურ-კოლხური ქართული ეთნოსის გენიალური თვისებების მატარებელი თანამედროვე მსოფლიო მოღვაწე ადამიანები.

მათ შორის არ შეიძლება არ გამოვყოთ ადამიანი, კოლხური მენტალიტეტითა და გენიალური პოლიტიკური ბუნებრივი ალღოთი დაჯილდოებული, რომელმაც 15-20 წლით ადრე **“იწინასწარმეტყველა”** გარკვეული მხრიდან საქართველოზე თავს მოხვეული პოლიტიკური მოვლენები.

თქვენის ნებართვით მინდა შემოგთავაზოთ პიროვნების პოლიტიკური შესაძლებლობების შეცნობის მხრივ მცირე ამონარიდი ინტერვიუდან, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ **“ასავალ-დასავალში”** 2000 წლის 2 ოქტომბერს 40-ში:

“ოპოზიციის ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ორბიტაზე ცარიელია. ამ დრო კი მმართველი პარტიის ზედა ფენის ნაწილი ჟვანიასა და მისი გუნდის სახით უფრო და უფრო ემიჯნება პრეზიდენტს და მის წინააღმდეგ გამოდის. ამ ჯგუფმა, თურმე, ახლა აღმოაჩინა, რომ საქართველოში კორუფციაა, თურმე, წყნეთში და საირმის გორაზე სახლები შენდება და, თურმე, ამ ყველაფერს შევარდნაძე უწყობს ხელს. სინამდვილეში, სახეზეა “ახალგაზრდა რეფორმატორთა” მცდელობა, დაიკავონ ოპოზიციის თავისუფალი ნიშა და ხალხს საკუთარი თავი შევარდნაძის ოპოზიციად წარმოუდგინონ. მათ შესანიშნავად იციან, რომ ქვეყანაში გარდაუვალია სოციალური აფეთქება, რასაც შევარდნაძის დამხობა, ანარქია და ქვეყნის დაშლის მეორე ეტაპი მოჰყვება, ამიტომ, თუ ოპოზიციის სტატუსი დამკვიდრდა, ეს ძალა ამ ყველაფრის შემდეგ ქვეყნის დაშლის პირველსა და მეორე ეტაპსაც შევარდნაძეს დააბრალებს, თვითონ კი ჩაუდგება საქათველოს იმ ნაწილს, რომელიც გადაურჩა დაშლის მეორე ეტაპს და დაიწყებს სამზადისს იმ ტერიტორიის საბოლოოდ დასაშლელად. შესაძლოა, ეს მზაკვრული იდეა უშუალოდ “რეფორმატორების” ჩაფიქრებული არ იყოს, მაგრამ, მიმდინარე პროცესები ცხადყოფენ, რომ მათ სწორედ ასეთი დავალება და დირექტივა აქვთ მიღებული პატრონებისგან. დასტურად ისიც იკმარებს, რომ “რეფორმატორთა” მხარდამჭერი და გრანტებით „გასუქებული“ გაზეთები და ტელეარხები შევარდნაძის წინააღმდეგ გამოდიან, ამზადებენ გაკოტრებული და დისკრედიტირებული შევარდნაძის ხელისუფლების შემცვლელს...”

ალექსანდრე ჯაჯია,
2000 წელი.

(ბუნებრივია, დამეთანხმებით, რომ ეს ნიშნავს იმ დროისათვის მეტად გაბედულ, ზუსტი პოლიტიკური პროგნოზის დასმას).

როგორც ვხედებით, საქართველოში ყველა მიზეზი არსებობს იმისა, რომ ქვეყნის მართვას პროფესიონალი ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში. ქართველ ხალხს არ სჭირდება გარკვეული სულიერ-გენეტიკური სიმდაბლიდან ნაკარნახევი მითითებანი, რამე თუ, თვითონ ქართული გენეტიკაა მიმთითებელი სხვა დანარჩენი მსოფლიოში არსებული რასებისა, რომელსაც კაცობრიობის ისტორია (მემატიანე) ანტიკური ხანიდან მომდინარე ამტკიცებს. აქედან გამომდინარე ვიმეორებ, კავკასიური რასის, ლაზ-იბერთა მოდგმის თანამედროვე საქართველოს სულიერ-გენეტიკური ცნობიერებაში **“ხელის ფათური”** გამოიწვევს ცივილიზაციის პროგრესის შეფერხებას.

“ამრიგად, რასაც მივაღწიეთ, იგივე უნდა შევინარჩუნოთ.”

(ფილ. 4,18)

ნურავინ ნუ შეეცდება ქართველი ხალხის და დანარჩენი მსოფლიოს წინაშე თავის ქრისტედ გამოცხადებას, მსოფლიოში სამართლიანობის დამყარებას (რადგან ეს ფაქტი კიდევ ერთი სამხილია დედამიწაზე ცრუ ქრისტეს მოსვლისა), რადგან დედამიწაზე სამართლიანობისა და ჭეშმარიტების დამყარებას შეძლებს მხოლოდ მაცხოვარი იესო ქრისტე თავისი დიდების გამოცხადებით (I იოანე 2,28).

“აბა შვილებო, დარჩით მასში, რათა, როცა იგი გამოცხადდება, გვქონდეს გაბედულება და არ შევრცხვეთ მის წინაშე მისი მოსვლისას” (I იოანე 2,28).

აუცილებელია ყოველი დედამიწიერი ადამიანი, თავისი სულიერ-გენეტიკური და გონებრივ-ცნობიერი სუბსტანციიდან გამომდინარე, ეზიაროს მისთვის მიზანშეწონილ, ხარისხობრივ რანგის ფუნდამენტალურ რელიგიას, რადგან ნებისმიერ კლასიკურ რელიგიას საფუძვლად უდევს მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა, ხოლო გლობალიზაცია-კოსმოპოლიტიზმი და ა.შ. იწვევს ანტიმართლმადიდებლობის გაღვივებას ადამიანში. უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ **“უფლის შიში სიბრძნის სათავეა”** (იგავნი სოლ 9,10).

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი მსოფლიოში. ამინ!

“აირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლო.” (III ეზრა 7,59)

მურმან ხუბულავა
(უფლისკარელი)

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

თანამემამულენო! მეგობრებო! დებო და ძმებო!

აი, ახალმა წელმა შემოაბიჯა ჩვენს ცხოვრებაში! დაე, ყველასთვის მოეტანოს ხვავი, ბარაქა, ჯამრთელობა და ოჯახის სიმტკიცე! დაიწყება ახალი წელი – წელი ცრუ დაპირებების, ფარსი არჩევნებისა, როდესაც მთელი წლის განმავლობაში ყველა მხრიდან წამოვა უაზრო სიტყვების **„ბრახა-ბრუხი“**. მოეწყობა აღლუმი **„აზრთა გენიების“** ჭიდილისა, როდესაც ერთმანეთს შეეჯიბრებიან ფუჭ დაპირებებში. ჩვენც ამდენი სიბინძურისგან თავის დასაღწევად შევეცდებით იგნორირება გავუკეთოთ ყოველივეს, მაგრამ საბოლოოდ ეს **„ორი ყურის პრინციპიც“** (შეუშვი-გაუშვი) არ მუშაობს კარგად, რადგან ჩვენს გონებაში მაინც ილექება უამრავი ნაგავი: არ მიხვალ შეხვედრაზე, არ მოუსმენ, მაგრამ 24 საათის განმავლობაში პრესითა და ტელევიზიით, რომც არ გინდოდეს, ტვინს გვიმღვრევენ. ყველა კუთხე კუნჭულში რეკლამების სახით თავის **„გენიოსურ“** აზრებს გვაჩეჩებენ. რა ვქნათ? როგორ და რანაირად დავაღწიოთ თავი ამ ყოველივეს? ხომ არ ჯობს ვიაქტიუროთ, ჩამოვაყალიბოთ გარკვეული პრინციპები და და ყველა ამ **„სამშობლოზე მზრუნველ“** კარიერისტს მოვთხოვოთ, თუ რატომ არ იარეს ამ პრინციპებით აქამდე? ხოლო, თუ იარეს – დაასაბუთონ. ამასთან, რა გარანტიებია მომავალში მათი შესრულებისა და როგორ გამოვარჩიოთ პიროვნებები (პარტიები, გაერთიანებები) ვინც ამ პრინციპებს ცხოვრებაში მართლაც გაატარებენ? ეს მეტად რთული იქნება თვითეული ჩვენთაგანისთვის (ამომრჩევლისთვის). გაცილებით ადვილი გზა იქნება, თუ მხარს არ დავუჭერთ იმ პიროვნებებს (პიროვნებათა ჯგუფს), ვინც არღვევდა ამ პრინციპებს. ძნელია წინასწარ შეფასება იმისა, თუ ვინ რას გააკეთებს, გაცილებით მარტივია უკვე გაკეთებულით მსჯელობა: **„საქმემან შენმან გამოგაჩინოს“**. ჩვენი ვალია არაფრისდიდებით არ დავუჯეროთ გარკვეული კატეგორიის ადამიანების სიტყვას:

– არასდროს დაიჯერო არავის პავლეობა ვინც არ აღიარებს თავის ყოფილ სავლეობას;

– არასდროს დაიჯერო იმის პატრიოტობა, ვინც თავის კარიერას თანამოძმის მოსპობის და დამცირების გზით მოიპოვებს;

– არასდროს დაიჯერო მისი ვისთვისაც – სხვისი ჭირი, ღობის ჩხირიო;

– არასოდეს დაუჯერო კონსტიტუციისა და კანონების დამცველის მანტიამორგებულ პიროვნებას, ვინც თავის დროზე ყველაფერი გააკეთა (თუნდაც პასიური წვლილი შეიტანა), რათა დაემხოთ და განედევნათ, კონსტიტუციურად, კანონიერად არჩეული ხელისუფლება. ასეთი ადამიანები კონსტიტუციისა და კანონების დაცვით მანიპულირებენ მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაკარგონ ჩვენი სისხლის დაქცევით მოპოვებული პრივილეგიები;

– არ დაიჯერო და არასდროს იწამო იმის ქართველობა, ვინც საქართველოში კრძალავს რა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვას, ამავე დროს ნებას რთავს მარიხუანით დაბოლილებს იშლიგინონ აღმა-დაღმა, როგორც უნდათ??!

– არ დაიჯერო და არასდროს იწამო იმის ქართველობა, ვინც მხარს უჭერს საქართველოში 18 წლამდე გოგონების გათხოვების აკრძალვას და ამ დროს ყველანაირად მხარს უჭერს მცირეწლოვანი გოგონების სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ადრეულ ასაკში (დასცინიან რა ქალიშვილობის ინსტიტუტს).

– არასოდეს დაუჯერო მას, ვინც საკუთარ წარსულს ივიწყებს და ამაყობს იმ ხალხის წარსულით, ვინც ცოტა ხნის წინ (ჩვენს თვალწინ) ჩამოხოხდნენ ხეებიდან და ისწავლეს ადამიანური ცხოვრება;

– არასდროს დაუჯერო და არ იწამო მისი პატრიოტობის, ვინც წარსულს საკუთარი ცხვირის წინ ვერ ხედავს და მხოლოდ ცხვირამდე არჩევს თეთრსა და შავს. გახსოვდეს, ის ვინც ივიწყებს წარსულს, მზადაა დაივიწყოს დღევანდელობა;

– არასდროს ანდო შვილი აღსაზრდელად იმას, ვისაც საკუთარი შვილის სქესიც კი ვერ გაურკვევია!

ალბათ, კიდევ მრავალი ამგვარი გამონათქვამია, რომლებიც თვალს აგვიხელენ, თუ ვინ ვინ არის და რატომ არ შეიძლება დავუჯეროთ და გავყვეთ ასეთი **„მარგალიტების“** მატარებელ ხალხს!

ხოლო, ვინც გაჰყვება – მივა არჩევნებზე და ნდობას გამოუცხადებს, თავადაც სულით ამ **„მარგალიტების“** მატარებელი ყოფილა და ამიტომ, ნუღარ გვიკვირს რაც ხდება. წინ აღვუდგეთ ჩვენი სამშობლოს ასეთ გადაგვარებას! გამოვიყენოთ ის ბერკეტი, რომელიც თვითეული ჩვენთაგანის ხელშია: არ მივიღოთ მონაწილეობა ამ მასკარადში,! ხოლო, თუ მივიღეთ მონაწილეობა, არავითარ შემთხვევაში მხარი არ დავუჭიროთ ასეთი **„მარგალიტებით“** დახუნძლულ კარიერისტების (პარტიების, გაერთიანებების) არჩევას!

გია ჩუთლაშვილი

სრულიად საქართველოს მოსახლეობას

უპირველესად, გილოცავთ ახალ – 2016 წელს, გისურვებთ ბედნიერებას, საქართველოს გამთლიანებას, სიმრავლესა და სიუხვეს!

ახლა კი მთავარ სათქმელზე!

მსოფლიო რუსეთის სამხედრო ოპერაციებმა შოკში ჩააგდო, წონასწორობა დააკარგვინა. მასონური ამერიკელებისა და ევროპელების პოლიტიკა ჩიხში შევიდა, სრული კრახი განიცადა. რუსეთი ამერიკისა და დასავლეთის პოლიტიკას სიტყვითაც და საქმითაც წინ აღუდგა. საერთაშორისო ნორმების დაცვით და ზნეობის ჩარჩოში რუსეთმა საოცარი დემონსტრირება მოახდინა, დააბნია ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსები. **“ისლამური სახელმწიფო”** სინამდვილეში მასონური ამერიკის გაწვრთნილი ტერორისტებია, რომელთაც დღესაც ამერიკა ამარაგებს იარაღით ამ ტერორისტებს სათავეში უდგას ებრაელი. არავითარი **“ისლამური სახელმწიფო”** არ არსებობს.

რუსეთი ავიადარტყმებს ახორციელებს სირიაში ბომბდამშენების, რუსული ცისტერნების მონაწილეობით, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს რუს სამხედროებს, დაბლოკონ უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი მოწინააღმდეგის წვდომა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების მიმართ. როდესაც რუსეთი სირიაში ტერორისტებს ბომბავს, საქართველოს ე.წ. ხელისუფლება ჩვენს ტერიტორიაზე აკეთებს **ნატო**-ს საწვრთნელ ბაზას. მასონი დემონი ივანიშვილი შეურაცხადია, მან შექმნა საქართველოში ქურდულ-მაფიოზური სისტემა. ივანიშვილი აგენტურის სათავეში დგას, რომელსაც მასონური ამერიკა და ევროპა მართავს საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ.

მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას! საქართველო დღეს იწოდება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული იურიდიული დამოუკიდებლობა ფაქტობრივ დამოუკიდებლად ვაქციოთ. საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას გზა სიმართლის გზაა. გზა, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინია მტერს. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ის, რაც უკანონოდ წაგვართვეს. ვამხილოთ მთელი მსოფლიო ჩვენს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში და აუცილებლად გავიმარჯვებთ, რადგან ჩვენ ვფლობთ ღვთიური ძალის იარაღს! ესაა სიმართლე! საქართველოს მოსახლეობამ უნდა იბრძოლოს არა სამუშაო ადგილების შექმნის მოთხოვნით, სოციალური მოთხოვნით, არამედ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. უნდა მოვითხოვოთ ე.წ. ხელისუფლებისაგან 1991 წელს მოქმედი კონსტიტუციის აღდგენა (რუსეთის პრეზიდენტთან პუტინთან და მთავრობასთან ჩვენ მოვაგვარებთ ყველაფერს) და არჩევნების ჩატარება. 1990-91 წლებში საარჩევნო კანონის მიხედვით, ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ამ მოთხოვნებს საყოველთაო სახალხო ხასიათი შევძინოთ. ჩვენს ბრძოლას გამარჯვებამდე მივიყვანთ!

მოგმართავთ საქართველოს ახალგაზრდებს, სტუდენტებს, ეროვნული მოძრაობის ნამდვილ ზვიადისტებს, შექმენით ეროვნული მოძრაობა – **“მხოლოდ ზვიადის გზით, სიმართლის გზით”**. ყველა სკეპტიკოსის გასაგონად, კიდევ ერთხელ, ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ კანონიერი ხელისუფლება აღსდგება საქართველოში, აღსრულდება ნება ღვთისა, საქართველოს მოსახლეობა გულწრფელად გაიხარებს და იზეიმებს. საკუთარი სამშობლოდან დევნილებმა ყველაზე მეტად სირიაში ვიგრძენით ნამდვილი ზეობა სიყვარულისა, სხვისი რელიგიის პატივისცემისა და საკუთარი სიყვარულისა.

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის 3.035 მებრძოლი, ნაწამები, დასახიჩრებული, განდევნილი საკუთარი სამშობლოდან სამშობლოსა და პრეზიდენტის სიყვარულისთვის,

ლევან ზაალიშვილი
ლაშა გამსახურდია
მართა სავანელი
სალომე მწითური
ჯემალ ბედოშვილი
გიორგი ციხისთავი
სულ 3.035 მებრძოლის სახელით,
სირია, დამასკო

გაზეთ “ილორი”-ს ფურცლებიდან მსურს ახალი – 2016 წლის დადგომა და შობის ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცო საქართველოს ღირსეულ შვილს, ცნობილ პოლიტოლოგსა და საზოგადო მოღვაწეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, სახელგანთქმულ მეცნიერ-ნეიროქირურგს ბატონ ნაპო მესხიას, მილიციის დამსახურებულ მუშაკს, ამჟამად პენსიონერ ბატონ ოთარ ალასანიას, გამგეობის თანამშრომლებს ბატონ თენგიზ შანავას, ნუგზარ სართანიას და ავთანდილ ცქვიტაიას, გაზეთ “ილორი”-ს შემოქმედებით კოლექტივსა და მის მთავარ რედაქტორს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას! სამწუხაროა, რომ ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლება ანგარიშს არ უწევდნენ თქვენს სულისკვეთებას, თორემ საქართველო არ გაივლიდა იმ განსაცდელთა რიგს, რაც მას თავს დაატყდა მისი დამოუკიდებლობის დღიდან. მაგრამ, რაც მთავარია, თქვენი სჯერა და სწამს ქართულ საზოგადოებას, იმ უბრალო ადამიანებს, რომლებიც რუდუნებით ქმნიდნენ და კვლავაც გაალამაზებენ საქართველოს ისტორიას.

ღრმად პატივცემულო ბატონებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას, წარმატებებს პირად და საზოგადო საქმიანობაში, სამშობლოს გამთლიანებას!

მე, როგორც აფხაზეთიდან დევნილი გლეხი, ასევე სიყვარულითა და პატივისცემით მივესალმები ჩემს აფხაზ და ოს თანამემამულეებს, ვუსურვებ მათ ყოველივე საუკეთესოს, სასიხარულოს, ბედნიერებას და მშობლიურ წიაღში მალე დაბრუნებას!

გვანჯი დარასელია,
ზუგდიდი

პოეზიის კუთხე

სონეტი ლანდაფას

ოლი მაფუ ქართიშა, ქეწმაზადუ ეკიქუ,
ხრეშილი რე კირდე დო ქუალეფიშ კირცხი რე,
ვამიჩქ მუჭო ეკოფრთე, მუნერ შარა იბცხირე,
სეტელია ტკილეფქუ ქუმუცალო ეკიქუ.
შხვა აკანშა გინიბლი, სანდალ მიდელ ლეკიქუ,
წყარი მიზიმოთუ დო ართო ტკუცი ქირცხი რე,
ჟვერდიამუს! ფუთქურშა მუჭო ვემიბირძღინე,
რობუშ ქვინჯის ქენოცუ ვითშა ეკნახეკიქუ.
“მიკირთია უკახლე”, იუღილინუ ბორია,
“ერსქემეფსუ ვათხოზა, სქანი ფენდა ზესქვი რე,
ღუმურგილ დო ლებია უგემურო ნკორია.
ვარა არძა წყურგილი უჭყანეთუ მესქირუ,
თიშ სარკესუ უჯინი, დუდი თექი გორია!”
ჰოდო, ჯვეში ხესქერქუ კინი ქიმიხესქერუ.

გური ოტობაია

რინაში ბორჯი

გური დიო ხოლო იგანც, თეზმა ბორჯიქ მიკილუნი;
ჩქიმი რინა თექ ითებუ: სქან კარეფი დიკილუნი.
დორზიც ღურა ეფი მა ი ქუმორჩქინას მიქ პილუნი;
შური დომიჭუ, გური დოგიბუ, ძვალეფი დომიკიკილუნი.

წკვერეტიშა მის ვაშკურუ, მათ ღურუშე მირტინუნი?!
ამდღარ ღურა-ჭუმეშახი, თაში რინა მითხილუნი.
უკუმელაშ გიშნაულას, მითინს ვაკო კინ თი ლური;
ათექიე უჩა ღურუ აბორჯუ დო ქირთინუნი.

მარა იშენ ჩალანდარო ღურუ ხუჯით მინთირუნი?...
ათეშენი გამიგონი თე ზუკოლი კოჩისკუა;
ღურუს ვიშო ქეწაზადენი, რინას მუ ჟამს ოჭიშუა?
რინას ხოლო მი გოკითხუ: იძიცე ვარ ინგარენი,
ნამუსიე ელაკითხეს შურც ღალა დო გურც ნარინი?

სოდეთ მითინი ვაგოხვარუნი, დინახალენი ვართ გალენი,
ბედი-ჭარას ქუდუჯერი შხვაფარანო ვაგგალენი.
იფრელს უჯგუ ათაურე რინას მოზოთ ათა უნენ,
ვეტაბიკე, ვეკვარჯღალენი, კვარჩხას რინაში დღა ვადალე.

ღურუს თინა ვაუშკურდუ;
მიშოთ რინა ეფი რენი,
მარა კოჩი ტყურათ შურდუ;
გვალო ჯგირო დეფიქრენი.

გურამ ჯიქია,
ჩხოროწყუ, ლესიჭინე

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

იძულებითი გაქცევა სამშობლოდან — სამშობლოში!

ბოდიში მინდა მოვუხადო მკითხველს, საახალწლო ამაღლებული განწყობის გაფერმკრთალებისათვის, მაგრამ ინ ადამიანებზე მინდა მოგითხროთ, რომლებიც საკმაოდ სევდიანად შეხვდებიან 2016 წლის დადგომას.

მაშ ასე — როცა ქვეყანას პატრონი არ ჰყავს — ქვეყანას ისინი ტოვებენ, ვინაც მას უნდა უპატრონოს!

გასულ კვირას ვწერდი ჩემს ფეისგვერდზე აბაშიძეების ოჯახის ტრაგიკომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც სხვა მოულოდნელ გარემოებებთან ერთად, დღევანდელი საქართველოს და აფხაზეთის მთავრობების უგულო დამოკიდებულებით შეიქმნა.

როგორც მაშინ ვახსენე, საქმე მაინც ქვეყნის დატოვებამდე მივიდა, რამაც მეგობართა წრე ზომაზე მეტად აგვაფორიაქა, რადგან ეს კონკრეტული შემთხვევა, მარტო აბაშიძეების გასაჭირი არ არის, იგი, ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს რეალური სახეა, როცა მისი მთავრობა ევროგაერთიანებასა და ნატოში დაუპატიჟებლად შესვლას აპირებს, მისი მოსახლეობა კი სამშობლოდან გარბის!

ქალბატონი ელვირა ფრიზორგერი ჩემი და როლანდ ჯალაღანიას მომავალი წიგნის **„გერმანელები საქართველოში“** ერთ-ერთი გმირია, რომლის წინაპარმა 250 წლის წინ დატოვა გერმანია, ვოლგისპირეთის, ციმბირის, აფხაზეთის გავლით თბილისში დაიდო ბინა, საიდანაც 2015 წლის 14 დეკემბერს დილაუთენია დატოვა სამშობლო-საქართველო!

ეს ის შემთხვევა არ არის, როცა ოჯახს ულოცავენ — საქართველოდან თავის დაღწევას და უცხოეთში გადაბარგებას!

ჩვენი მოკლე საუბარიც, სწორედ ამ ჭრილში წარიმართა:

...იქნებ კიდევ გეფიქრათ და გადაგეთქვათ თქვენი გადაწყვეტილება — სამშობლო **„საქართველოს“** დატოვებაზე?

ამ, არც ისე ტაქტიან კითხვაზე, ელვირა ფრიზორგერმა ნაწყენი თვალებით შემომხედა:

„— შენ მაინც რა დაგემართა, დათო, იმაზე მეტი რა უნდა გაიღოს ჩვენმა ოჯახმა, რაც 25 წლის მანძილზე ვიტვირთეთ. ზოგს საკუთარი ოჯახის ხუთიოდე წევრი ვერ აუტანია, ჩვენ რამდენიმე ასეულ ოჯახს ვიტევდით ჩვენი ქოლგის ქვეშ!.. სხვა ამბავია, ფუფუნებაში თუ ვერ ვაცხოვრებდით, მაგრამ შიმშილის და სიცივის საშიშროება არავის ჰქონია... ჩვენ მორალური უფლება არ გვაქვს, საქართველოს მთავრობას მივმართოთ დახმარებისთვის, — თუ ისინი ჩვენს მდგომარეობას ვერ ამჩნევენ, ჯობია ჩვენ გავეცალოთ მათ და როცა უცხოეთში ფეხს მოვიკიდებთ, თუ დასჭირდებათ, ისევ გვერდში დავუდგებით!“

ხმა ვერ ამოვიღე, რადგან რამდენიმე კვირის წინ, იმ მთავრობამ, რომლის თანადგომასაც ელვირა ფრიზორგერი და სერგო აბაშიძის ოჯახი ფეხზე დადგომის შემდეგ აპირებს, აღმასრულებლის კითხვაზე: **„— რა აზრის ხართ აბაშიძეების საკუთარი ბინიდან გამოსახლებაზე?“**, — ცალსახა თანხმობა გამოუცხადა, — **„უნდა გამოასახლოთო!“**

ელვირა ფრიზორგერი: **„რაც შეეხება, „სამშობლო-საქართველოს“ დატოვებას — მას შემდეგ, რაც ჩემმა მეუღლემ სერგო აბაშიძემ, ერთ მშვენიერ დღეს გერმანელ პარტნიორებთან ერთად „უზარმაზარ“ პროექტს მოაწერა ხელი, იმ განზრახვით რომ ფოთში, სასტურო „კოლხეთში“ მცხოვრებ 50 ოჯახს საოცნებო „მიკროქალაქს“ აუშენებდა და ჩვენ იქ, სადღაც შორიახლოს ვიცხოვრებდით, — „კაცი ოცნებობდა, ეშმაკი იცინოდაო“ — ისეთ დღეში მოგვაქცია!**

...რა უნდა ვთქვა, ჩემი სათქმელი მე ვთქვი... არასოდეს საყვედური არ წამომცდენია — გერმანიიდან ვოლგისპირეთში, იქიდან ციმბირში, ციმბირიდან საქართველო-გაგრა-აფხაზეთში, აფხაზეთიდან ფოთში, ფოთიდან თბილისში... და აქედან ორასორმოცდაათი წლის შემდეგ — საქართველოში ხელნაკრავი, ჩემი წინაპრების სამშობლოში ებრუნდები!

ბოლო წუთამდე მაინც მეგონა, ვიღაცას დავენანებოდით!.. მთავრობას ვგულისხმობ, თორემ, მეგობრების ისეთი სახეები მიგვყვება — გაუსაძლისს გაგვაძლებინებს!

ჩვენც შობა-ახალი წლის წინ გადავწყვიტეთ სამშობლოს დატოვება, რომელიც სხვებისთვის ერთ კონკრეტულ ადგილზე იწყება და მთავრდება, ჩემთვის კი ათასობით კილომეტრის გასწვრივ არის გაგებული:

...ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია თვალი ბაიკალის თვალშუდგამი სალამაზისთვის, ერთხელ მაინც დაუთვლია ათეული მეტრის სიღრმის წყლისქვეშეთში ფერადი კენჭები, ვისაც ყინვისა და თოვლისგან გათოშილ გარემოში სიმწვანე და ლივლივა ბაიკალის სითბო უგრძვნია, ვინაც ციმბირის ყინულეთიდან საქართველოში გადასახლებულა და გაგრის კლდესშემსკდარი ზღვის ტალღები ყოველდღიურ რომანტიკად უქცევია — თვითმკვლელობაა აქაურობის დატოვება!

...როცა გვეგონა, გაგრიდან — აფხაზეთიდან ჩვენი წამოსვლა შემთხვევითი ამბავი იყო და იგი მალევე გამოსწორდებოდა — თითქმის მეოთხედი საუკუნეა გრძელდება!

ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის — არავინ ფიქრობს იმის გამოსწორებაზე, რაც საკუთარ ოჯახში მოხდა (აფხაზეთს და სამაჩაბლოს ვგულისხმობ) და იმათ იწვევენ მოსამართლე-მომრიგებლებად, ვინაც ამ დღეში ჩაგვაგდო!

არცერთი უცხოელი, არასოდეს ეცდება ჩვენს სახლებში დაბრუნებას. ვიდრე ისინი ქართველებსა და აფხაზებს შორის დგანან, უზარმაზარ ხელფასებს იღებენ და მშვიდობის მტრედებად იწოდებიან, არამცთუ ჩვენ დაგვაბრუნებენ სახლებში, ქუდი რომ გადაუგდო ენგურს გაღმა, იმის გამოსატანად არ შევლენ!

— ნუ დამისვამთ კითხვას — ვინ არიან ისინი!.. თქვენ თვითონ ეძებეთ და იპოვით!

— მე, ჩემი ნოსტალგია და ტკივილი გამაყოლეთ, რომელიც აქედან მიმყვება და წინაპართა სამშობლოსთან შეხვედრისას მელოდება!..“

...როგორც იტყვიან, — მოვისმინე და გული მომიკვდა!

ანაზდად, ჰაინრიხ ჰაინეს ზემუსიკალური სტრიქონები გამახსენდა, სტუდენტობისას რომ შევბედე და გადმოქართულება ვცადე:

Die Rose, die Lilie, die Taube, die Sonne,
Die liebt' ich einst alle in Liebeswonne,
Ich lieb' sie nicht mehr, ich liebe alleine
Die Kleine, die Feine, die Reine, die Eine;
Sie selber, aller Liebe Bronne,
Ist Rose und Lilie und Taube und Sonne.

ვარდი, შროშანი, მტრედი და მზე,
ვეტრფოდი, მიყვარდა ისინი მე,
მე ახლაც მიყვარს და მაქვს სულ სხვა აზრი,
პატარა, ნაზი, სუფთა და ლამაზი;
სიყვარულს რომ უძღვის, უნათებს გზებს,
ვარდი, შროშანი, მტრედი და მზე!

„ვარდი, შროშანი, მტრედი და მზე“ გინათებდეთ გზას, — ერიკასთან, ანნასთან-შვილთან და შვილიშვილთან ერთად, წინაპართა სამშობლოსკენ, ჩვენო სულიერო დაიკო — ელვირა ფრიზორგერ!

მინდა დაგაიმედო — ჩვენი საერთო სამშობლო-საქართველო აუცილებლად დადგება ფეხზე, თუ კი კაცობრიობას გადაშენება არ უწერია!

ამაზე ვილოცოთ სადაც არ უნდა აღმოვჩნდეთ!

ჩვენი საერთო მეგობრების და მათი ოჯახების სახელით

დავით ქობალია

P.S. ბატონებო! ბატონი სერგო აბაშიძის სამეგობრო წრე, ვინც გულწრფელად ვფიქრობთ მხარში ამოვუდგეთ და დავეხმაროთ მას ბინის დაბრუნებაში, რომელიც მისმა **„მეგობარმა“** თაღლითური გზით წაართვა, რადგანაც ერთიანად ვერ ვახერხებთ საჭირო თანხის შეგროვებას (მიუხედავად ბატონი სერგოს წინააღმდეგობისა), ვაარსებთ დახმარების ფონდს.

ყველა იმათ, ვინც იცით ვინ არის ბატონი სერგო აბაშიძე, რა სიკეთე უკეთებია მას ჩვენი ხალხისთვის, რა დახმარება აღმოუჩენია აფხაზეთიდან დევნილებისთვის, როგორ დადგომია გვერდში ქართველ სპორტმენებს, მოგიწოდებთ — თქვენი სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით, გადმორიცხოთ შესაბამისი თანხა შემდეგ საბანკო ანგარიშებზე:

1. GEL

სს **„სილქ როუდ ბანკი“** თბილისი, საქართველო.

ბანკის კოდი DISNGE22

ბენიფიციარი ზურაბ ლემონჯარია

ანგარიშის ნომერი **GE86BT0360000680240001**

2.USD

Intermediary Bank: BANK OF GEORGIA. Tbilisi. GEORGIA

SWIFT: BAGAGE22

Beneficiary Bank: Silk Road Bank. Tbilisi. Georgia

SWIFT: DISNGE22

A|N GE56BG0000000127344700 USD

Beneficiary LEMONJARIA ZURAB

Beneficiary A/N GE86BT0360000680240001 USD

3. EUR

Intermediary Bank: COMERZBANK AG, Kaiserplatz, 60261, Frankfurt am Main

SWIFT: COBADEFF

Beneficiary Bank: Silk Road Bank. Tbilisi. Georgia

SWIFT: DISNGE22

A|N 400887146900 EUR

Beneficiary LEMONJARIA ZURAB

Beneficiary A/N GE86BT0360000680240001 EUR

ჩემი სასიკვდილო აგონია 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო...

მე ვარ კოლხ-იბერია...

1991 წლის 22 დეკემბერს მესროლეს... დიახ... ასე იყო... უგუნურებმა რუსთაველზე გამოათრიეს უზარმაზარი ზარბაზანი, დამიმიზნეს და ჭურვი გამოისროლეს ჩემკენ... დამჭრეს... მართალია მაშინ გადავრჩი... ჯერ კიდევ სული მიდგას, მაგრამ ის კაცი, ის დიდი ერისკაცი, რომელშიც განსხეულებული იყო ჩემი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ჩემი აღორძინების, ჩემი მომავლის იდეა და საერთოდ ვისთანაც ასოცირდებოდა კოლხურ-იბერიული სულიერი მისია... ამ სულიერების ცხოველმყოფობა — ოდნავ მოგვიანებით მისსავე მშობლიურ კუთხეში — მარგალონაში მოაკვდინეს... ესეც იყო, რა თქმა უნდა, საშინელი დანაშაული და გაუგონარი მზაკვრობაც... რადგან ის მოკლეს იქ, სადაც მისადმი უდიდესი სიყვარულით იყო ადგილობრივი მოსახლეობა განმსჭვალული და რაც მართალია მართალია — იმ ხალხს თუ მის მიმართ ძალიან დიდი ფობიით არ ხარ შეპყრობილი — ვერანაირად ვერ დასწამებ ერთიანი კოლხურ-იბერიული სახელმწიფოს მიმართ ორგულობას... უფრო პირიქით, რადგან ის კუთხე და და ის ხალხი მუდამჟამს გამორჩეული იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით... თუმცა, გამექცა სიტყვა... რა მინდა ვთქვა: იმ ავადმოსაგონარი პუტჩის შემდგომ მე, საქართველო — გავტიალდი და გავვერანდი... იმის შემდგომ მე ბედნიერება არ მღირსებია და იმასაც ვხედავ, რომ ჩემი გადაგვარებული, ცნობიერებაარეული და სულიერებაშერყვნილი ხალხი უძლურია გლობალიზაციის ცუნამისაგან დაიცვას და გაამაგროს ჩემი თვითმყოფადობის დამცავი, მაგრამ აწ უკვე მორყეული ჯებირები... და მე, არ ვიცი რა მეშველება... ნუთუ მეც შევუერთდები საუკუნეების განმავლობაში გამქრალ ერთა თუ ეთნოსთა ნუსხას...

ნუთუ ჩემი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავალიც ოდენ ილუზიაა და ზღაპარი... ნუთუ მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან მეც მიწერია გაქრობა... არ ვიცი.... მაგრამ, ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ტრაგედია, ჩემი სასიკვდილო აგონია 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო... მე მაშინ მესროლეს... გადავრჩი თითქოს... ჯერ კიდევ სული მიდგას თითქოს... მაგრამ, გულწფელად გითხრათ — ჯერ კიდევ ძალიან სათუოა ჩემი გადარჩენა... მე სასიკვდილოდ დაჭრილი ვარ... მე ვარ კოლხ-იბერია... ჩემი აღსასრული მოახლოებულია და მე შველას ვითხოვ... უფალო... უფალო ნუ გამწირავ...

ზურაბ კვარაცხელია

დევნილებს არ სურთ აქ ცხოვრება

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები 23 წელია ზუგდიდის საბავშვო ბაღებში, თუ მიტოვებულ შენობებში ცხოვრობენ. მათი ნაწილი სხვადასხვა დროს ხელისუფლებამ ახალი საცხოვრებლით დააკმაყოფილა, თუმცა ბევრი ჯერ კიდევ რჩება მძიმე პირობებში. ზუგდიდის მერმა განაცხადა, რომ არსებობს საადმზრდელო დაწესებულებების რეკონსტრუქციის სურვილი, თუმცა ვერ ხერხდება, რადგან იქ დევნილები ცხოვრობენო.

საფუძვლიან რემონტზე არა, მაგრამ არასაკმარის ფართებზე ჩივიან საბავშვო ბაღების გამგეები. ბაღების ადმინისტრაცია და ზუგდიდის მერია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მოუწოდებს, ახალი ბინების გაცემისას უპირატესობა მიანიჭოს საადმზრდელო დაწესებულებებში მცხოვრები დევნილების საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხს.

ზუგდიდის №7 საბავშვო ბაღი ერთ-ერთია, სადაც შენობის დიდ ნაწილში დევნილები ცხოვრობენ.

„ერთი წლის შვილი მყავს და გული მიკვდება ასეთ პირობებში რომ იზრდება. ძალიან გვიჭირს აქ ცხოვრება. რა დროს ფუფუნებაზეა საუბარი, როცა ელემენტარული საცხოვრებელი პირობები არ გვაქვს“, — ამბობს გალის რაიონის მკვიდრი, 25 წლის მანველა ფანცხავა.

ამბობენ, რომ ანტისანიტარიის გამო შენობაში მრავლად არიან მღრღნელები და ხშირად დაუკბენიათ ბავშვები.

„რა უნდა მოხდეს აქ, რომ სხვაგან გადაგვიყვანონ არ ვიცი. მაინდამაინც ჩემს სიკვდილს ელოდებიან?!“, — თქვა 67 წლის გული ხუბულავამ.

ლტოლვილთა სამინისტროს ზუგდიდის სამმართველოს უფროსმა მანუჩარ ჩილაჩავამ განაცხადა, რომ ორი კორპუსის მშენებლობა უკვე დასრულებულია და უახლოეს მომავალში იწყება კიდევ ორის მშენებლობა.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ — 2016 ᲬᲔᲚᲡ!

ᲒᲘᲐ ᲜᲝᲓᲘᲐᲡ ᲐᲑᲓᲐᲣᲑᲓᲐ

მკითხველისთვის ცნობილია, რომ გია ნოდია, ეს **„პატივცემული“** პიროვნება იყო განათლების მინისტრი, დღეს კი იგი პოლიტოლოგია, ილიას სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე. რატომ ვუწოდებ მის შეფასებებს აბდაუბდას? მკითხველს ქვემოთ შევთავაზებ მის **„ბოდიალს“** ქართველი კლასიკოსების ღვაწლის შეფასების შესახებ, რომელიც პოპულარულ ჟურნალში გამოქვეყნდა და თავადვე დარწმუნდება, რატომ მივიჩნიე ეს წერილი არა წყობილად, არა საღ სჯად.

წაიკითხეთ, თავად განსაჯეთ...

„ნოდარ დუმბაძეს ძალიან კარგი ტექსტებიც აქვს, მაგრამ ის იყო ლპობის ეპოქაში შესული საბჭოთა ტოტალიტარიზმის იდეურ ლაბირინთებში ტრაგიკულად დაბნეული პიროვნება. კრიმინალური „გაგების“ რომანტიზაცია ნამდვილად იყო ამ ლპობადი ტოტალიტარიზმის ქართული ვერსიის ერთ-ერთი გამოვლინება და დუმბაძეს აქვს შეტანილი წვლილი მის ლეგიტიმაციაში.

ჭაბუა ამირეჯიბის პროზაც ამ სინდრომის გამოხატულებაა, მაგრამ ლიტერატურულად გაცილებით ნაკლებადღირებული. „დათა თუთაშხია“ – ძალიან სუსტი რომანია: გამიჭირდა მისი პირველი ნაწილის ბოლომდე მიყვანა და თავს ვერ დავაძალე, მეორე ნაწილი (ან ამ მწერლის რომელიმე სხვა ტექსტი) ნეტა არ წამეკითხა...

კონსტანტინე გამსახურდია რატომ ითვლება დიდ და გამოჩენილ მწერლად, საერთოდ არ მესმის. მახსოვს, “დიდოსტატის მარჯვენაში” რაღაც ადგილები მომეწონა, „მთვარის მოტაცებაში“ გაცილებით ნაკლები, „დიონისეს ღიმილზე“ ლამის ცუდად გავხდი (ლოგინში ვიყავი ჩავარდნილი და იმიტომ წავიკითხე საერთოდ) ხოლო „დავით აღმაშენებლის“ წაკითხვის მცდელობა თავიდანვე ჩამივარდა: ეტყობა, ამ ცხოვრებაში ვეღარ წავიკითხავ, მერე ვნახოთ. აქვე დავამატებ, რომ ჩემი აზრით, მერაბ ბერძენიშვილის (!) მიერ შესრულებული მისი ქანდაკება ე. წ. გეგეშიძის ბაღში (თავისი გმირის მიმართ აშკარად ირონიული) კარგად გამოხატავს კოწიას პიროვნებას.

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ მოვალეობის გამო წავიკითხე, სრულიად უბადრუკი ტექსტია. ჯანდაბას, რომ ეს კაცი აშკარად ფაშისტი იყო, მაგრამ საშინლად უნიჭო რომ იყო?...

თუ არსებობს „ყველაზე დიდი ქართველის“ ნომინაცია, ასეთი ილია ჭავჭავაძეა, მაგრამ დიდი ვერაფერი პოეტი იყო.... ძალიან გამიხარდა ნიკა გვარამიას პოსტი, დავით კლდიაშვილი ყველაზე მაგარი ქართველი მწერალია. მეც ვთვლი, რომ ძალიან მაგარი და დაუფასებელი მწერალია და არ ვიცოდი, რომ ჩემნაირად სხვებიც ფიქრობდნენ. „ბაკულას ღორები“ ძალიან კარგად გამოხატავს ჩვენს სიტუაციას დღესაც და ისევ „ორნაქმარები და უშვილო საცოლის ძებნაში“ ვართ ერი...”

ხომ ცხადია, ლოგინად ჩავარდნილმა ავადმყოფობის ჟამს წაიკითხა არა მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას ნაღვაწი, არამედ კომაში მყოფს სიზმრად მოელანდა, ან აშკარად ცხელება სჭირდა, როცა ჭაბუა ამირეჯიბის ბრწყინვალე ეპოპეა **„დათა თუთაშხია“** გადაფურცლა. ადამიანს აქვს საკუთარი აზრის გამოთქმისა და სხვათა ნაღვაწის შეფასები უფლება, ეს მისი ნებაა, მაგრამ, შე დალოცვილო, განათლების მინისტრი რომ იყავი, ტუჩების ჩახევამდე გაიძახოდი – საქართველოს ღირსეული მწერლები ჰყავს, ლიტერატურის კაბინეტებში მათი სურათები ჩამოკიდეთ და გამონათქვამებით დაამშვენეთ კედლებიო, ახლა კი ხმამაღლა ბუტუტურებ: ფაშისტი, უნიჭო და უვარგისიაო. რას ნიშნავს ეს – ცრუ აკრიახებას თუ აკრუსუნებას?!

დიდი კონსტანტინე ბრძანებდა: **„ისეთი მამლებიც ბევრია ამ ქვეყანაზე, გათენების შემდეგ რომ ჰყივიანო“**. გათენდა დიდი ხანია, **„გია ბატონო!“** კომპეტენტურმა სწავლულებმა ათასგზის თქვეს და დაწერეს, რომ თქვენს მიერ უარყოფილი მწერლები გენიალური მოღვაწეები იყვნენ. თქვენი **„ყივილი“** ნამდვილად არ ჰგავს ალიონის შემოძახილს, დაგაგვიანდათ. იგი უფრო პირადი უმეცრების ამოძახილია **(“ბაკულას ღორები” და “სამანიშვილის დედინაცვალი” რომ ვერ გაგირჩევიათ ერთმანეთისაგან! – “ᲘᲚᲝᲠᲘ”)**, ყოყლოჩინა ყვინჩილებს რომ მოსდით ხოლმე, მაგრამ თქვენ ხომ უკვე ზრდასრული ადამიანი ბრძანდებით, ამიტომ სხვა სინდრომთან გვაქვს აშკარად საქმე. კარგი იქნებოდა იმაზე დაფიქრებულიყავით, **„სრულო პროფესორო“**, ახალგაზრდებმა მართლაც რომ დაგიჯერონ, რასაც **„აბდაუბდობთ“!** იცით კი, რა, უარყოფით სამსახურს გაუწევთ მომავალ თაობას, რომელსაც წიგნი ნაკლებად უყვარს, მათ დიდ ნაწილს კი წაკითხული არა აქვს თქვენგან უარყოფილი მწერლების ნაწარმოებები?

„ბუნების წესი ასეთია, – წერდა კ. გამსახურდია, – **მახინჯი ლამაზთან ყოფნას მიელტვის მუდამ, მანკიერი – უმანკოსთან, რეგვენი ბრძენს აეკიდება ხოლმე, ყბედი – მდუმარეს, ხოლო ლაჩარი გმირს”.** დიახაც, რომ ასეა.

ალექსანდრე ნეიმანის **„ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“** გვხვდება მრავალფეხას სინონიმი – ნამის ჭია. ამ ცხოველის მოხმობა იმიტომ დამჭირდა, რომ ნამის ჭია იქნება ის თუ ნაკელის, მიწაში დაძვრება და დახოხიალებს. უშუქთვალოა, ნემსკაუჭისთვის თუ გამოდგება მხოლოდ, სხვა სარგებელი მას არ აქვს. თქვენგან ნამდვილ შემოქმედთა ღვაწლის **„შეთითხვნა“**, კლასიკოსთა სახელის შავი ძაფით დაბლანდვა ცუდი სამსახურია. მათ ღია სარკმელში შემოჭრილი გაზაფხულის დღესავით ათასფერი სურნელით აავსეს სულიერების სალარო. ჯერ არარსებული მოტივებით, რითმებით, ინტონაციებით, კეთილხმოვნებითა და სასწაულებით მორთეს უახლესი ეპოქის სულისკვეთება, თქვენ კი ტალახს ესვრით!....

„ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამ ქვეყანად. ამიტომაც მუდამ დაღრენილი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები. ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მხიარულები დაცუნცულებენ “ – ბრძანა ერთ-ერთმა თქვენგან უარყოფილმა მწერალმა. რა ნიშანდობლივი გამოთქმაა! **„თრითინებმა და თაგვებმა“** ათასგზის რა არ იწრიპინეს, რა მიწა არ თხარეს, აქაოდა იქნებ როგორმე ჩრდილი მივაყენოთო უნიჭიერეს შემოქმედს, ბატონ ჭაბუას, რომლის ნაღვაწი ოცდაათ ენაზეა ნათარგმნი. საბედნიეროდ, მისი შემოქმედება უფრო შეიძენს დიდებას, რაც წლები გავა. შურიან მოძულეთა შემოტევა მის სიცოცხლეშივე იმდენად აშკარა აღმოჩნდა, რომ ჭაბუას 70 წლისთავი ორი წლის დაგვიანებით აღინიშნა – ისიც მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის, სულმნათი გურამ ფანჯიკიძის მეცადინეობით. მაშინ მომეცა საშუალება, მივსალმებოდი ბატონ ჭაბუას და განმეცადა მისი დაუმსახურებლად მიყენებული სიხარულგარეული ტკივილიანი განცდები.

დიდი ქართველის ნიჭიერების დაფასების ნათელი მაგალითია წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მემორიალური კაბინეტის გახსნა, სადაც განთავსებულია ბატონი ჭაბუას ნივთები, ფოტოსურათები, პირადი წერილები. იგი ჭეშმარიტად ერის მეხსიერებაა. ჰემენგუეის აქვს სიტყვები: **„ადამიანი შეიძლება გაანადგურო, მაგრამ მასზე გამარჯვება შეუძლებელიაო“**. დიახ, **„გია ბატონო“,** ისინი დიდი ხანია გამარჯვებულები არიან და მათთან გაბრძოლება წინასწარ მარცხის ტოლფასია.

ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი გურამ ასათიანი თქვენს მიერ **„კრიმინალური გაგების რომანტიზაციის ნამდვილ მეხოტბედ“** მიჩნეულ ნოდარ დუმბაძეზე ამბობს: **„ნ. დუმბაძის ფენომენი განუყოფელი ნაწილია ჩვენი დღევანდელი მწერლობისაგან, ის თავისებურ ელფერს სძენს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და მისი განვითარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელია. უფრო მეტიც: ამ ფენომენის გარეშე დღეს შეუძლებელია თვით ჩვენი ეროვნული ცხოვრების, მისი ამჟამინდელი რეალობის წარმოდგენა. მან შეძლო ლიტერატურიდან ცხოვრებაში გადასულიყო და თანამედროვე ქართველობის დიდი ნაწილის განწყობილებებს დაუფლებოდა.“**

დიახ, მარად დარჩება დუმბაძე განუმეორებელ ფენომენად, იმ სხივად, რომელმაც ქარტეხილგამოვლილ ეროვნულ ლიტერატურაში შემოიტანა დაუცხრომელი ფიქრი სამშობლოზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც სამშობლოს განცდის გარეშე მხოლოდ უფესვო, უსიცოცხლო მცენარეა, მხოლოდ უსულო ფიტულია.

ვინც დაესწრო ნოდარ დუმბაძის გასვენებას მწერალთა სახლიდან, ვინც იხილა იქ მოსული ათასობით თვალცრემლიანი, მწერლის შემოქმედებაზე შეყვარებული ადამიანები, ვინც ნახა თაიგულების კოლონა, რომელიც მაჩაბლის ქუჩის დასაწყისიდან ხალხის თავზე უწყვეტად გადადიოდა ვით ძღვენი და შეჰქონდათ ცხედარდასვენებულ ოთახში (რადგან მწერლის სახლში შესვლა შეუძლებელი იყო), მას არ მოუბრუნდება ენა, თქვას, რომ ნ. დუმბაძე **„ტრაგიკულად დაბნეული პიროვნება“** და შემოქმედიაო.

მაქვს უფლება, გ. ასათიანისა და მისი მსგავსი, ლიტერატურაში კომპეტენტური ადამიანებისა, მჯეროდეს, ისევე, როგორც ახალგაზრდა თაობას, რომელიც ნაკლებად იცნობს ღირებულ ლიტერატურულ ქმნილებებს, არ კითხულობს, ინტერესი გაუქრა საკუთარი ერის სულიერ განძისა და წიაღისადმი. სწორედ იმიტომ, რომ არიან **„რეგალიების“** მქონე ადამიანები, რომლებიც საპირისპიროს ჩასჩიჩინებენ, ურჩევენ გაეცნონ უან ჟენეზეს ნაჯდაბნს, რომელიც ადიდებს უხამსობას, სიმდაბლეს, ამორალობას, ჰომოსექსუალიზმს. უბიძგებენ წაიკითხონ ნაუინსკაია, რომლის იდეალია ველურობის გამოხატვა, რომ ახალგაზრდა თაობას გაუნელდეს პატივისცემა ეროვნული ფასეულობებისადმი.

თურმე, ჩინეთში ორი წლის წინათ, სამსახურში მყოფ ჩინოვნიკებს ჩაუტარეს გამოცდები ჰუმანიტარულ საგნებში, რომლის შედეგად მთავრობამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვით ნებისმიერმა ჩინოვნიკმა კვირაში მინიმუმ 5 საათი უნდა დაუთმოს კლასიკური მხატვრული ლიტერატურის კითხვას. სახელმწიფოს ყველაზე ძვირად უმეცრება უჯდებაო – ასეთია საყოველთაოდ მიღებული აზრი.

საინტერესო წამოწყებაა. საქართველოს ნამდვილად წაადგებოდა ამგვარი ვალდებულების შემოღება. მაშინ მავანის ტუჩებს არ დასცდებოდა **„გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი “სრულიად უბადრუკი ტექსტია, რომ მისი ავტორი ფაშისტი და საშინლად უნიჭოაო“.**

ხომ ცხადია, გ. რობაქიძის შემოქმედებას უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა, კაზანძაკისმა და სხვებმა. რამდენიმეჯერ გამოიცა მისი კრებული – **„კავკასიური ნოველები“,** არჩეული იყო არაერთი ლიტერატურული საზოგადოების წევრად. მავანის მიერ მისი ღრმაშინაარსიანი ნაშრომის ვერგაგება არ ჩაითვლება მწერლის ნაკლად, უნიჭობად, პირიქით, სიღრმისეულმა აზროვნებამ და გამოხატვის თავისუფლებამ აამაღლა გ. რობაქიძე, როგორც შემოქმედი და მოაზროვნე. მის ნიჭს კვებავდა უაღრესად მძაფრი, მთელი არსების მომცველი სტიქია. და დღეს, ჩვენთვის საკვირველი არ არის განახლების დაუოკებელი მოთხოვნილება წმინდა ესთეტიკური სფეროდან, გაცილებით უფრო ფართო მსოფლმხედველობრივ სივრცეზე რომ აიჯვანა.

საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი გაზეთში – პორტუგალიის ერთ ქალაქში წიგნის მაღაზიას გაკოტრება ემუქრებოდა. მაღაზიის მფლობელმა სოფლიდან ორი ვირი ჩამოიყვანა, მაღაზიის კარზე დაბა, ყელზე ჩამოკიდა წარწერებიანი აბრა: **„ჩვენ არ ვკითხულობთ წიგნს“**. ამ ფორმამ შედეგი გამოიღო – მაღაზიას წიგნის მკითხველები გაუმრავლდა. ჩვენს მაღაზიებთან ვირის დაბმას ნამდვილად არ ვისურვებდი, თუმცა წიგნის მკითხველების რიცხვი საგრძნობლად რომ შემცირდა, არასასურველი პროპაგანდისა და ამასთან ჰუმანიზმის, სიფაქიზისა და ამაღლებული იდეების სწრაფვის ჟინის მიზანმიმართული ჩაკვლა მგონია.

ყოფილი ხელისუფლების დრო, რომლის მეხოტბე თქვენ ბრძანდებით, ბატონო გია, მახსენებს გურამ ბენაშვილის სიტყვებს: **„საგულისხმოა, რომ ამგვარი დეკადანსის ჟამს არ იქმნება არა მხოლოდ მაღალი მხატვრული ღირებულებები, არამედ ჩლუნგდება ძველი შედევრების თვით აღქმის კულტურაც კი... რამდენიმე მწერლის „კონფიგურაციას“ სრულიად არაბუნებრივად ენაცვლებიან ლიტერატურას ადევნებული მრავალი ავანტურისტი, გრაფომანი, ფსიქიკადარღვეული და სულაც აშკარა პათოლოგი... ყველაზე სასტიკნი და მრისხანენი ის ოდიოზური პერსონები არიან, რომელთათვისაც ლიტერატურა ერთი ჩვეულებრივი ჰობი, ჟინი თუ აზარტია, ვისთვისაც იგი ეპატაჟია, ლაზღანდარობითა და სკაბრეზით საზოგადოების დაცინვაა ...“**

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ-ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝᲒ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲣᲮᲐᲠᲘᲒ

უამრავთაგან ორი განსაკუთრებით საყურადღებო, ამასთან სასიამოვნო ინფორმაცია მოვისმინე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც სოციალური პედიატრიისა და ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემებს მიეძღვნა. უხუცესმა მონაწილემ, ცნობილმა პროფესორმა ავთანდილ კვეზერელ-კოპაძემ, რომელსაც წლეულს შეუსრულდა 90 წელი, ორსულთა, მეძუძურ ქალთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვების პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოსვლით ფრიად სასიამოვნო ამბავი ამცნო საზოგადოებას: ბოლო წლებში მკვეთრად შემცირებულა ბავშვთა სიკვდილიანობა.

არანაკლებ სასიხარულო იყო საშუალო თაობის წარმომადგენლის, ევრო-ხმელთაშუა ზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ პაატა კერვალიშვილის მოხსენება კიბოს უჯრედების მაგნიტური ჰიპერთერაპიისათვის მაგნიტური ნანო ნაწილაკებისა და ნანო მასალების გამოყენებისა და ამ მეთოდის მნიშვნელობის თაობაზე.

დარბაზი ოვაციით შეხვდა ცნობას, რომ ცნობილი რევმატოლოგი, ქალბატონი ნინო ტატიშვილი მკურნალობაში შეტანილი დიდი წვლილის გამო დაჯილდოებულია ბრწყინვალების ვარსკვლავით. ეს ვარსკვლავი კონფერენციის მუშაობის მეორე დღეს, 12 დეკემბერს, ლიუბლიანას ქუჩის №5-ში, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორიაზე გაიხსნა.

კონფერენცია ერთობლივად იყო მოწყობილი საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო აკადემიის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის მიერ, მის მუშაობას წარმართავდა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი და ფრიად კარგად იყო ორგანიზებული როგორც ვიზუალური მასალებით, ისე სპეციალურად ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილი გაზეთით. ამასთან, იმითაც იყო გამორჩეული, რომ კონფერენციის მუშაობაში უხნესი, უფროსი, საშუალო და ახალგაზრდული ასაკის სპეციალისტებთან ერთად, როგორც მოხსენებებით, ისე კამათში მონაწილეობით, აქტიურობდნენ სტუდენტებიც. თანაც არა მარტო მომავალი მედიკოსები, არამედ მომავალი ინჟინრებიც. საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდობა აუდიტორიის წინაშე წარსდგა თავისი ფილმით; „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“.

ამგვარი პრობლემა არახალია, მაგრამ დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, რამეთუ საქართველოში წელიწადში ოფიციალურად 100 ათასი, სინამდვილეში კი გაცილებით მეტი აბორტი კეთდება და ესეც არის ერთ-ერთი სავალალო მიზეზი იმისა, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულის შემდეგ თითქმის განახევრდა საქართველოს მოსახლეობა – 5 მილიონს აღმატებულიდან 3 მილიონ 700 ათასამდე შემცირდა, ამასთან მათგან 800 ათასზე მეტი პენსიონერია.

სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო და ღრმად დამაფიქრებელია ერის ეს უდიდესი სატკივარი და, ეტყობა, ამითაც აიხსნება რომ ამ კონფერენციას საქართველოს პარლამენტის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტთან, სამინისტროებთან, შესაბამის ორგანიზაციებთან და კავშირებთან ერთად თანადგომა საქართველოს საპატრიარქომაც გამოუცხადა.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

ომარ ნანავა

ჩემო ბატონო მიხეილ! მე თქვენი ერთგული, თქვენით აღფრთოვანებული, ერთ-ერთი იმ ახალგაზრდა თქვენი მომხრეთაგანი ვარ, რომელიც დარწმუნებული იყო თქვენს სიმართლეში, თქვენი დარიგებების სისწორეში და მივყვებოდი მას, თქვენს გვერდში ვიდექი, რომელიც დაუფიქრებლად ზვარაკად გწირავდით ჩემს სიყრმის წლებს, რომელიც მზად იყო გაენადგურებინა ნებისმიერი თქვენი მოწინააღმდეგე, მათ შორის ოჯახის წევრიც კი. რომელიც, თქვენი თქმით, თქვენთან ერთად აშენებდა ახალ, ძლიერ საქართველოს.

და აი, ჩამოვყალიბდი **"ახალი ქართველი"**, ჩემი ამბიციებით, ჩემი **"მე"**-თი, რომელიც ჩემია და არავის ვსაჭიროებ დამრიგებლად, მხოლოდ, თქვენ და არავინ სხვას!

ამავდროულად, როგორც თქვენ მასწავლიდით, არ ვცემ პატივს:

– უფროსებს, დედ-მამას, პაპა-ბებოს, რომელთაც თქვენ დამსახურებულად ჩარეცხილები უწოდეთ. რომელთაც ჩამორჩენილი, ხავსმოკიდებული, დაობებული, წინა საუკუნეების ნერვებამშლელი აზროვნება შემორჩენიათ. აქვე გეტყვით, პაპა-ბებოს ჩემს ქორწილში დასწრებაც ავუკრძალე! არ მადარდებს მათი წუხილი და გულის გამაწვრილებელი ჩივილი.

– უარვყოფ ქვეყნის, ქართველი ხალხის წარსულს, და არც მაინტერესებს, აბა ეს რა ქვეყანაა?! ცნობისათვის, მომწონს და მაინტერესებს მხოლოდ ამერიკული და ევროპული.

–პატივს არ ვცემ ჩვენს ენას, რადგანაც არავის სჭირდება იგი. მე ვეუფლები ინგლისურს. აი, ეს არის ენა, რომელიც ყველას სჭირდება, რომლის არცოდნის შემთხვევაში, ადამიანს მომავალი არ აქვს! რადგან მცნება – **„თუ ენა კვდება. ე.ი. მასთან ერთად ერიც კვდება"**, რომ განხორციელდეს, არ მაფიქრებს, მე ჩემი გზა დასახული მაქვს...

– პატივს არ ვცემ ქართულ მრწამსს, ადათ-წესს – ჩამორჩენილი ერის ზნეობად ვთვლი ყოველივე ქართულს.

– პატივს არ ვცემ ქართველ ხალხს, რომელიც არ ვიცოდი თურმე, დაუნის სინდრომით ყოფილა შეპყრობილი. ეს აქამდე არ ვიცოდი!

მომწონს და პატივს ვცემ თუთბერიძეების, დეისაძეების, ტურაშვილების, ბურჭულაძეების, ლონდარიების, ილიას ინსტიტუტის რექტორისა და ზოგიერთ ლექტორთა შეხედულებებს.

მომწონს ყოველივე ამერიკული და ევროპული, ვინაიდან თვითონ ვარ სულით ევროპელი!

რაც თქვენ მასწავლეთ, ყველაფერი ბეჯითი მოწაფესავით შევითვისე და დავიზუთხე:

– რომ, ერის გამთლიანებას, ერთმანეთის გვერდში დგომას, სიკეთე მოაქვს. რომ ამ ყოველივეს პირველ რიგში ქვეყნის უძლეველობა და ერის ამაყად, თავაწეულად ცხოვრება მოაქვს. – ეს არც იფიქროთ, რადგან მიჩვეულები ხართ თავდაღუნულ, ქედმოხრილ მონობას და ასევე გააგრძელეთო;

– რომ, რაც შეიძლება პატარ-პატარა ბანაკებად დაწევრიანდით (როგორც ე.წ. პოლიტიკური პარტიები). შუდლით, შურით, ბოღმით, კაცთმოძულეობით ეტაკეთ ერთმანეთს, დაუნდობლად ხოცეთ და ჟლიტეთ ერთმანეთი. იფიქრეთ მხოლოდ ჯიბის და სტომაქის გავსებაზეო;

– არ დაინდოთ მოყვასი, ძმა და მეგობარი. იცხოვრეთ მგლური ცხოვრების პრინციპით, და დევიზით: **„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი"**-ო;

– რომ ევროკავშირი თუ ამერიკელები ისე გვმოძღვრავენ, თითქოს მათ გარეშე ამ დრომდე ვერ მოვაღწევდით. რომ, რაღაც გამოგონილი და უაზრო **"მაპის"** გამო, ისედაც გამათხოვრებულნი, მთლად დაგვაქციეთ – გვასწავლეთ მათხოვრობა, მათხოვრობა ხანგრძლივი – ვდგავართ ბეჯითად ჩაგმანულ **"ნატო"**-ს კართან და ასე დავრჩებით ალბათ ხელგაწვდილნი. ისინი კი, ისინი გვეუბნებიან სოდომ-გომორის წესით იცხოვრეთ, ჯიში გაყიდეთ (მაინც არ გიწერიათ პასპორტში), დედ-მამას ნუ სცნობთ, ნუ უჯერებთ, წინაპარი და გარდაცვლილი დაივიწყეთ, ისტორია, მრწამსი დაივიწყეთ, მიაფურთხეთ თქვენს თავმოყვარეობას, დაივიწყეთ რომელი, ვისი გორისანი ხართ. თქვენ, ბატონო მიხეილ, მიგვითითეთ და მოგვიწოდეთ მათი მოსმენა და დაჯერება, მათ დაკრულზე ცეკვა – ესაა მთავარი, ეს არის თქვენთვის მოგონილი საკენკი, რომ დაივიწყოთ თქვენი დუხჭირი ცხოვრება, შიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა. სხვა უფრო დიდ ფასეულობებზე ხომ ფიქრიც ზედმეტია და ეს წესი – აუცილებლად მისაბაძიო.

– რომ სიტყვა ლუსტრაცია არასდროს ახსენოთ, გეკრძალებათო, თორემ ყველა უცხო ჯურის თუ უჯიშობის გამყიდველი, ახლა აქ, თქვენს ქვეყანაში მორგებულია თბილ სკამს და ყველფს ამ ქვეყნის დოვლათს, თუ რამე კიდევ შემორჩენილა. და, თან გვმოძღვრავს უტიფრად, უსირცხვილოდ, რაზეც ხმა, კრინტი არ დაძრათო;

– დაივიწყეთ, ვისი შვილი ხართ, რა ჰქვია ან რა ერქვა მშობელ მამას, მის მამასო;

– რომ ერის ამაოხრებელთ გვერდში ამოუდექით, მასთან ერთად თქვენც გაისვარეთ ხელი ძმის სისხლშიო;

– რომ ძმათა სისხლით მორწყულ მოედანზე როცა ჩვენ ვიმღერებთ და ვიცეკვებთ, თქვენ ხმა არ ამოიღოთ. თუ ძალიან გვთხოვთ, იქნებ დაგრთოთ ნება თქვენც ჩვენთან ერთად იმხიარულოთო;

– ომის წაგებით, მამაპაპისეული მიწების დაკარგვისას, იზეიმეთ, – გიხაროდეთ, რომ საქართველო შაგრენის ტყავივით პატარავდებაო;

– რომ, ხელი შეუწყეთ სარანჩასავით მომრავლებულ სექტებს. თქვენი სარწმუნეობა დაამცირეთ და ვინ იცის, იქნება დაგასაჩუქრონ ჩვენმა ევროპელმა, ან ოკეანესგაღმა მეგობრებმაო;

– რომ, თქვენთვის ოფიციანტობა, ხელზე მოსამსახურეობა, მრეცხაობა, დამლაგებლობა, მოჯამაგირეობა, მონობა რომ გაუმეტებიათ კარგია. ეს შეირგეთ, აიტანეთ ყოველგვარი დამცირება – გირჩევნიათ, იყოთ დამცირებულნი, ვიდრე მშივრები. მეტი რაღა გინდათ – ამით იამაყეთო;

– რომ, ყოველივე სიმახინჯის, ავის, ცუდის, ეშმაკეულის ათვისება თქვენთვის კარგიაო;

– რომ, **"აგერ გოგო, აგერ ბიჭი, აგერ ბუჩქი"**-ს გაგონებაზე ყველა გათახსირდითო;

– რომ, გოგომ, რომელსაც მოუწოდებენ თავისივე სიბიწის მოფრთხილებისკენ, უნდა უპასუხოს: – შენ ვინ გეკითხება, მე ვის დავუწვებიო;

– რომ, ინტერნეტი კარგია, ადამიანებს ერთმანეთს არ აშორებს, ისა არ ფიტავს, არ აჩლუნგებს, არ ნერგავს სისასტიკეს. აქედან ყველა **"განსწავლულები"** გახდით – ყველა ინტერნეტშიო! რაც თქვენს ნაბრძანებს მახსენებს: **"ყველანი ციხეში, ყველანი ციხეში!"**

– რომ, სოფელი დაივიწყეთ, ყველაფერი მამა-პაპისეული ისედაც ჩასარეცხიაო;

– რომ, მიწასთან მუშაობა სათაკილოა, საერთოდ მუშაობა გოიმობაა;

– რომ, როგორ გეკადრებათ, ყოველ მშიერს და უნიფხვოს თუნდაც ვალის აღებით, სულ მცირე, აიფონი მაინც უნდა გეჭიროთ, ნაკლები როგორ გეკადრებათ, აბა თქვენი კუდაბზიკობას როგორ გამოაჩენთო;

– რომ, ყველას ინსტიტუტის დიპლომი უნდა ჰქონდეს, თორემ სწავლა რა ბედნაააო;

– რომ, წარსულის სწავლა, მასში ქექვა რად გინდათ, ეს დამღლელია და გონებას ნუ დაიბინძურებთო;

– რომ, პატრიარქს, თქვენს სულიერ მამას თუ გალანძღავთ, ტალახს ესვრით, სულს გაყიდით, გაფულიანდებითო;

– რომ, მშობლები როცა დაგვეღუპება, საფლავში ჩვენთვის ადგილი არ მოვიტოვოთ – ჩვენ ხომ სხვა ქვეყანაში როგორც მონებს ამოგვხვდება სულიო;

– რომ, არ გამრავლდეთ! თუ შეძლებთ, ერთის ნაცვლად ნახევარი ბავშვის გაჩენას, ასე ჰქენით – ასე უფრო მალე გადაშენდება ქართველობა და თქვენი მეზობლების ნატვრაც ასრულდებაო;

– რომ სომხები ყველა გზებით და ხერხით საქართველოში უნდა მომრავლდნენ, ხელი არ შეუშალოთ, რადგან მათთვის ექიმს დანიშნულება დაუწერია: იცხოვრეთ ან თბილისში ან პარიზშიო; (мне врачь предписал: жить или в Париже, или в Тбилиси)!?

– რომ, დაიჯერეთ, ხმა გაკმინდეთ, არ იკამათოთ – სომხების მიერ, თუნდაც უსინდისოდ, მოთხოვნილი ეკლესიები მათ გადაეცით და ბოდიშიც მიაყოლეთო;

– რომ, ქართული (მშობლიური?) ენა, რაც შეიძლება მეტად გააბინძურეთ უცხო, ჯიშიანი თუ უჯიშო ხალხის (არა ერის) სიტყვებით და ამით უფრო დიდი **"ჯიპებს"** დაირტყამთო;

– ეროვნება საბუთში რომ არ გიწერიათ, არა უშავს, არ გჭირდებათ, ქართველობა ხომ სირცხვილიაო;

– რომ, მამა ოჯახში რა პატივსაცემია, თუ **"მაყუთი"** არ შემოაქვსო;

– რომ, ეკლესიისგან შორს დაიჭირეთ თავი – ეს გაუნათლებლობაა;

– რომ, დაბანა რა საჭიროა, ჭუჭყის სუნი ქართველების იმიჯს მაღლა სწევსო;

– რომ, **"ქეიფის"** შემდეგ აუცილებლად ცხვირ-პირი ან დავინგრიოთ ან სხვას ვინმეს დავუნგრიოთო;

– რომ, თქვენს ისტორიულ მტერს, რაც შხამიანი და მომწამვლელი კვების პროდუქტი უწარმოებია, შემოატანინეთ გაამდიდრეთ და ამაზე ხმა არ ამოიღოთ, უფრო მეტიც, მუხლებზე ეხვეწეთ, გროშებზე დაასაქმონ და თქვენივე ნაშრომი ისევ თქვენ მოგყიდონო.

– რომ, მთავარია შენ იყო მაძღარი, მაძღარი ყურმოჭრილი მონა და ბედნიერად ჩათვალე თავიო;

– რომ საქართველო იცლება ქართველებისგან და ივსება სხვადასხვა ქვეყნის გაურკვეველი წარმომავლობის ხალხით, ხმა არ გაიღოთ, თქვენ რა გინდათ, თქვენ ხომ ხართ მაძღრებიო;

– რომ შენი სამშობლო იყიდება, შენი მიწა-წყალი იყიდება, შენგან რა მიდის, შენ ხომ მზად ხარ სამშობლო მიატოვოო;

თქვენი დარიგებისამებრ მამაჩემს, დედაჩემს პატივს აღარ ვცემ, ხმამაღლა ვეჩხუბები, ვუყვირივარ კიდეც, თავიანთი უუნარობის, უმწეობის და უქნარობის გამო.

სასაცილოა, ეს აზიელი ბიჭი ერთი ხელის მოსმით ევროპელად როგორ მაქციეთ, როგორ გამასულელეთ?!

და მაინც – როცა დამიმტკიცეს, თქვენ არა ჩვენი ერის, არამედ მეზობელი სომხების საამაყო შვილთა ხუთეულში დაუსახელებიხართ, არ დავიჯერე და ისევ თქვენ გიერთგულეთ;

– რომ ჩვენს ქვეყანას დამაქცევრად მოვლენილხართ, რომ მიწასთან გაასწორეთ მეცნიერება, კულტურა, განათლება, ხელოვნება, ქართული თვითმყოფადობა. როცა სანტექნიკოსის ნაქადაგებით გვიბრძანეთ ცხოვრების გაგრძელება, ხმის ამოუღებლივ გამოგყევით;

– რომ სკოლებში ყოველგვარი ქართულის, პირველ რიგში წარსულის ამოძირკვა ინდომეთ, მაშინაც გვერდიდან არ მოგშორდით;

– როცა ვხედავდი ქვეყანა თავზე როგორ გვენგრეოდა, ვიფიქრე, ალბათ ასეა საჭირო და ხმაგაკმენდილი ისევ გვერდში მოგყევით;

– რომ, როცა დათესეთ სიცივე, როცა გათიშეთ ერთმანეთისგან მეზობლები, ნათესავები, მეგობრები, ოჯახის წევრები, სანაცვლოდ იანკების ცხოვრების წესი დაუკითხავად ჩაგვინერგეთ, ისევ თანხმობა გითხარით;

– რომ, საქვეყნოდ განთქმულ ჩვენს ქართულ ქეიფს გეიფი უწოდეთ, დაგთანხმდით ჩუმად;

– რომ ეროვნული მუზეუმიდან ხელოვნების და ისტორიის საუკეთესო ნიმუშები გაზიდეთ და უგზო-უკვლოდ გააქრეთ, ალბათ ჩვენი სახელოვანი ისტორიის სხვებისთვის გაცნობა განუზრახავს-თქო და ისევ არაფერი ვთქვი;

– როცა წყაროსთან თქვენზე შემზარავი საქმეების კეთებაზე ილაპარაკეს, აღშფოთებულმა (აღშფოთება ევრო-ამერიკელმა მეგობრებმა მასწავლეს) კბილებით დაგიცავით;

– როცა ვხედავდი ჩემნაირ ახალგაზრდა, გონებაგამორეცხილ ყმაწვილკაცებს როგორ ასვრევინებდით ძმათა სისხლში ხელებს და როგორ უსპობდით მომავალს, ხმა კვლავ არ ამოვიღე;

– როცა საქართველოს პატრიოტები, დიდი ილიას მიმდევრები, მათ შორის აწგანსვენებული სულმნათი, ბატონი გურამ შარაძე, ქუჩაში საკუთარ სისხლში აბანავეთ, უკვე, შიშნარევს, სუნთქვა შემეკრა...

– რომ, როგორ ერთობოდით ქუჩაში ახალგაზრდების ხოცვით, როგორ **"დროს ატარებდით"** ციხეებში პატიმრების წამებით, როგორ ნერგავდით შიშს, დვარძლს, ალბათ ასეა საჭირო-თქო, ვფიქრობდი, მწამდა თქვენი ისევ;

– რომ, როცა მივხვდი, თქვენ საქართველოს გასანადგურებლად იყავით მოვლენილი, რომელიც მხოლოდ შიშს, სიცივეს, შიმშილს, თვითმკვლელობებს, მათხოვრობას, ღალატს, ბოზობას, უვიცობას, ყოველგვარ იმ ხერხს ნერგავდით, რასაც ერის განადგურება მოსდევს, შიშმა შემიპყრო, საკუთარი ტყავის გადასარჩენად გავისუსე და, ისევ თქვენთან დავდექი;

– როცა ჩემს ძმას, ყოფილ ფინანსური პოლიციის ოფიცერს დავალება მიეცით, ვაღაცეებთან მისვლა ფულის წამოსაღებად, და როცა მან ნახა და დარწმუნდა, ვისთანაც მიაგზავნეთ მოთხოვნილი თანხის მეასედიც არ გააჩნდათ, ხელცარიელ უკან გამობრუნებულს სიკვდილი მოანატრეთ, სახლი გააყიდინეთ, ოჯახი მეზობლის ავტოფარეხში გადაასახლეთ, თვითონ კი ციხეში შეაგდეთ, ხმა არ ამომიღია;

– ბიძაჩემს, რომელიც თავის, ჩვენს და ჩემი დის ოჯახებს ინახავდა, ბიზნესი **"აახიეთ"**, რითაც ისინიც და ჩვენც მშივრები, ვალებში ჩაფლულები, გამათხოვრებულები დაგვყარეთ, ხმა არ ამომიღია;

– პატიმარ ძმას, ბიძაჩემს და სხვა მრავალს სულში ჩაფურთხეთ, ქართველობა ანანეთ, აბდავლეთ, ხმა არ ამომიღია;

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

მიხეილ სააკაშვილს

ზურაბ კვარაცხელია 52 წლისაა

სახალხო მოძრაობა "სამებრძოლო" და გაზეთი "ილორი" გულითადად ულოცავენ დაბადებიდან 52 წელს ჩვენს მეგობარსა და უღალატო თანამებრძოლს, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობითა და გულის სითბოთი გამორჩეულ პიროვნებას ზურაბ (ზური) კვარაცხელიას და უსურვებენ, რომ მრავალჟამიერ გაეტარებინოს სამშობლოსა და მშობელი ხალხის უანგარო სამსახურში.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ — 2016 ᲬᲔᲚᲡ!

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

– პლანეტაზე ერთ-ერთ ყველაზე სათაყვანებელ ადამიანს, ერის სიამაყეს, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს, ქალბატონ ნონას, მიტინგზე მისულს ისე მოექეცით, რომ ვინც ნახა, არასდროს დაავიწყდება მისი გაოგნებული კითხვანარევი სახე: **"ნუ თუ ეს მართლა ხდება ჩემს თავს, ნუთუ საქართველოში ძმა ძმას კლავსო?!"**, ხმა არ ამომიღია;

– როცა ამ ყველაფრისგან სულატკივებულმა გულის ტკივილი ვიგრძენი, იმ წამლებით მიმკურნალეთ, რომელიც ავადმყოფს კი არ კურნავს, არამედ თურმე, ავადმყოფობას აძინებს (!), მათ შორის ისეთ ავადმყოფობებს, რომლებიც გამრავლებაზე მოქმედებენ, ხმა არ ამოვიღე, ვერ ამოვიღე.

ვაგლახ, რომ ასე იყო.

ვაგლახ, რომ ჩემი სულის უსუსურობით, ჩემი არასრულყოფილი ვაჟკაცობით, თავი მოგეციოთ სამანიპულაციოდ, ჩემი არასათანადო განათლებით, ჩვენი საამაყო ისტორიის არცოდნით, ჩემი გადაბრუნებული გონებით ვიმართებოდი ყოველივე ნათელის საპირისპიროდ...

ვაგლახ, რომ შევცდი!

და, ამჯერად ვხვდები, რა დამიტოვა თქვენმა, საბელგამობმულივით უენო მორჩილებამ, უენო მსახურებამ, ყოველმა თქვენმა სწავლებამ, ყოველმა მოწოდებამ და სათანადოდ ყოველმა თქვენი კარნახით თუ ბრძანებით ნაკეთებმა ჩემმა დანაშაულებრივმა საქმეებმა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ

ყველაფერი არც მახსენდება.

თქენ მე საუკეთესო ასაკი დამიკარგეთ. მთელი ჩემი ნაშენი კოშკები დამემსხვრა და დამრჩა მხოლოდ იმედგაცრუება, სიცარიელე... მირჩიეთ, ამ სიცარიელისგან, ცხოვრების ამაოებისგან, რაც თქვენგან მერგო, ჩემს აწეწილ სულს რა ვუშველო, რით ვინუგეშო, რით დავმშვიდდე? ამჯერად რა გზას დავადგე, გზასაცდენილი, გამოშტერებული თქვენი დოგმატებით, რა მოვიმოქმედო, როცა შემრჩა ხელში დაცლილი, გაპარტახებული, გავერანებული, გამათხოვრებული სამშობლო, როცა სრული უიმედობა და არანაირი სიკეთის, მომავლის, წინსვლის იმედი აღარ დაგვიტოვეთ?

როცა თქვენი ბრძანებით შეღებილი ფასადები გაუფერულდა, ჩამოცვივდა და გამოჩნდა მისი ნაღდი სახე, როგორც თქვენი, ნაცმოძრაობის და თქვენი ფარული მომხრეების ნამდვილი, მოდალატეობრივი სახე...

ამჯერად რა ვქნა, როცა არც ნათესავს, არც ახლობელს, არც მეზობელს, არც სამშობლოს აღარ ვუნდივარ. ახლა, როცა ვხვდები, რომ ჩემი სამშობლოს ფეხზე წამოსაყენებლად მაქსიმუმი უნდა გავაკეთო. ახლა, როცა უფსკრულისკენ გაქანებული ქართული სული, ქართული ღირსება, ქართული მრწამსი უნდა გადავარჩინო, რასაც ძალზე დიდი ძალისხმევა სჭირდება, როცა ჩვენი მეზობელი ხალხები უნდა დავარწმუნო, რომ ეს ჩვენი, საქართველოს წინააღმდეგ – ნაკეთი საქმეები ქართველის წინამძღოლობით კი არა, უცხო ტომის ნაშიერის, სააკიანის ნამოქმედარია, რომ საქართველოს მხედართმთავარი, იმ ავადსახსენებელ 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველი, ქართული სულის მატარებელი არ იყო! როცა, როცა, როცა...

როდის მოვიცალო ჩემთვის ჩემს ასაკში, როცა უკვე გონებაგახსნილმა ვიცი, რომ ერს გამრავლება უნდა, რომ წარსულის ცოდნაზე დგას მომავალი, რომ უფროსის ცოდნის გაზიარება, მისი პატივისცემა, ერის ხვალინდელი დღის ნათელი მომავალია, რომ ყოველივე ქართულს გაფრთხილება და შენარჩუნება სჭირდება, რომ ქართული, ჩვენებური ქეიფი სხვებისთვის მაგალითია კაცობის, ძმობის, მეგობრობის, კეთილი მეზობლობისა, რომ ქართული გენი, ქართული გონი უნიკალურია, რაც ვერ მიუნელებია მავანთ და მავანთ.

ეს ყველაფერი ჩემი უვიცობის, ჩემი არასათანადო განათლების, ჩემი გამოუცდელობის, ჩემი მიამიტობის, 30 ვერცხლად გამყიდველობის, შურის, ბოღმის, ღვარძლის, საკუთარი ტყავის გადარჩენის მცდელობის შედეგია.

რომ მოგეციოთ თავი, საბატონოდ მონად და თქვენც გამომიყენეთ, ქათმის უფლებების ბოძებით, იმ უფლებებით, რომელსაც როცა მოისურვებდით, მაშინ წააძრობდით თავს, იმ მარტივი მიზეზით, რომ ჩემი უფლებები ქათმის უფლებამდე იყო დაყვანილი – ვარსებობდი, მანამ, სანამ გჭირდებოდით.

თუმცა, თქვენ რას გდებთ ბრალს, მთლად თქვენ არ ხართ ჩემს გაუბედურებაში ბრალეული, ეს ჩემი გაუმაძღრობით, ჩემი მოყვარის სიძულვილის, შურის გამო მოხდა, ჩემი ასაკით, უფროსების არდაჯერებით, რომლებიც მოყვასის, ერის, სამშობლოს სიყვარულს მიქადაგებდნენ. მე კი თქვენსკენ გავრბოდი და თქვენს დარიგებებს ვისმენდი. დღესაც ჩამესმის ყურებში ტრიბუნიდან თქვენი მოწოდება: **"არც ერთი დამნაშავე არ დაინდოთ, ყველანი ციხეში!"** ან **"მაგათთვის ჩვენ ტყვია არ გვენანება"!** ან **"სულს ამოგხდით!"** ან **"ნულოვანი ტოლერანტობა!"**

...მხოლოდ ერთს გაგიმხელთ, რასაც თქვენგან მალულად, ჩემთვის, ჩემი შინაგანი მოთხოვნით ვაკეთებდი: ჩემთვის, ყველასგან მალულად ვლოცულობდი და უფალს შენდობას ვეხვეწებოდი ჩემი ცოდვების გამო, იმ ცოდვების გამო, რომელიც თქვენი ბრძანებით სრულდებოდა.

ჩემო ბატონო მიშა, თუ დაგითვლიათ, რამდენი შვილი დააკლდა საქართველოს თქვენს მიერ ციხეების გავსებით, თქვენს მიერ ქვეყნიდან გაქცეული ქალით თუ კაცით, თქვენს მიერ ჩახოცილი ახალგაზრდებით, თქვენი პროპაგანდით გაკახპებულ გოგო-ბიჭებით, როგორც თავის დროზე ეს გააკეთა საქართველოს დამაქცევარმა შევარდნაძემ, როცა დაცარიელებულ საქართველოს ყოველი ლეში და მძორი მოეძალა და აქ ფუძნდება! ეს ხომ გამიზნულად, წინასწარ მზაკვრულად მოფიქრებული ბოროტებაა საქართველოს მიმართ!

მაგრამ იცოდე – მე წლების მომატებასთან ერთად გონებაც მემატება და არ გქონდეს იმედი, მეტად აღარ მოვტყუვდები!

უფალი მოწყალეა, ქართველი ერი მიმტევებელი და როცა მოვინანიებ ჩემს ცოდვებს არა მხოლოდ ჩემს სულიერ მამასთან, არამედ მოვინანიებ სახალხოდ, სხვებიც ამყვებიან, ყველანი ერთად დავდგებით, და...

საქართველოში სამართალი იზეიმებს!

საქართველოში იმატებს სიკეთე, სითბო, ურთიერთთანადგომა, კაცობა დაფასდება. გონი დაფასდება, უფროსი დაფასდება, ერი გამრავლდება, ქართველი თავის სამშობლოში ამჯერად იმედიანად დაბრუნდება!

საქართველო უსათუოდ გაბრწყინდება, უსათუოდ!

ᲝᲛᲐᲠ ᲜᲐᲜᲐᲕᲐ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲬᲘᲜ ᲐᲡᲬᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲔᲔᲑᲘ ᲛᲝᲭᲠᲔᲡ

საინფორმაციო სააგენტო "**livpres**"-ში გამოქვეყნებული მასალების თანახმად ზუგდიდში, ცენტრალური ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალი სასტუმროს წინ, ასწლოვანი ხეები მოჭრეს. ამ ფაქტს ადგილობრივების მხრიდან ნეგატიური გამოხმაურებები მოჰყვა.

"ეს ბარბაროსობაა", "ვანდალიზმია", "არც ერთ ქვეყანაში ასე უმოწყალოდ არ ანადგურებენ ხეებს", "მხოლოდ ერთი ძლივს აშენებული შენობის გამო, არ შეიძლება საქართველოში ხეები ასე იჭრებოდეს", "რა უფლებით, რის საფუძველზე გასცემენ ასეთ ბარბაროსობაზე ნებართვას", "რატომ დაუშვით, რომ ეს გაეკეთებინათ?", – წერენ ზუგდიდელები სოციალურ ქსელში.

მათი აღშფოთება სავსებით გასაგებია, რადგან წლების განმავლობაში საქართველოს კლიმატს მძიმე დაღი დაამჩნია ხე-ტყის უთავბოლო ჩეხვამ. რაც შეეხება ზუგდიდში მოჭრილ ხეებს, ქალაქის მერიის განცხადებით, ხეების მოჭრის ნებართვა შესაბამისი დასკვნის შემდეგ, სასტუმროს გენერალური დირექტორის მომართვის საფუძველზე გაიცა.

"მერიის გამხმარ და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის აცილების კომისიამ" ნებართვის საფუძველზე ადგილზე **შეისწავლა მოცემული ვითარება და დადო შესაბამისი დასკვნა, რის მიხედვითაც, დასტურდება აღნიშნული ხეების მოჭრის აუცილებლობა. სასტუმროს მეპატრონე იღებს ვალდებულებას, მოცემული ტერიტორია კეთილმოაწყოს. თვითონ წარმოადგინა სავარაუდო ესკიზი, და მერიის შესაბამისი სამსახურის მოწონების შემთხვევაში განხორციელდება"** – აცხადებს ზუგდიდის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მაია ღუბელაძე.

მისივე განმარტებით, დასკვნის მიხედვით, ხეების ფესვები სასტუმროს საძირკვლის ამოღებისას დაზიანდა, რამაც მცენარეების ხმობა განაპირობა.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲛᲓᲔ

*კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ბრძოლა სიმდიდრის წინააღმდეგ. მოსახლეობას სიღარიბეში უნდა ეცხოვრა, რათა იგი მთლიანად დამოკიდებული ყოფილიყო სახელმწიფოზე. ამ იდეოლოგიის განსახორციელებლად პარტია დადგენილებებს იყენებდა. რამდენიმე დადგენილება, ჩემს მეხსიერებას შემორჩა. XX საუკუნის 70-იანი წლის პირველ ნახევარში მოსახლეობას აეკრძალა ორსართულიანი სახლების მშენებლობა. სახლების სიმაღლე არ უნდა ყოფილიყო 3 მეტრზე მეტი. დღემდე შემგვრჩა დაბალჭერიანი, მრავალსართულიანი სახლები, ე.წ. **„ხრუშჩოვკები“.***

პარტიის მომდევნო დადგენილება იყო რომ მოსახლეობას შინაური ცხოველების მხოლოდ თითო-თითო ეგზემპლარი უნდა ჰყოლოდა. ცხოველთა გამრავლება შეწყდა და შინაური ცხოველები წითელ წიგნში შეიქნა შესატანი.

*70-იანი წლის ბოლო პერიოდში შემოიღეს გამდიდრების წინააღმდეგ ბრძოლის არაპირდაპირი მეთოდი. ყველა კომუნისტს უნდა დაეხასიათებინა **„შეეფასებინა“** მისი სამი მეზობელი. შეფასებაში იგულისხმებოდა მხოლოდ უარყოფითი მხარეები: რას აკეთებს, როგორ აკეთებს, როგორ სუნთქავს, საიდან აქვს შემოსავალი, ხომ არა აქვს **„უშრომელი“** შემოსავალი და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ კომუნისტს თავისი სამი საუკეთესო კარის მეზობელი საჯაროდ, ღიად პარტიულ კრებაზე უნდა დაებეზღებინა, დაესმინა და ჩაეშვა.*

*ზოგიერთი ჭკვიანი და პატიოსანი კომუნისტი დიდი ძალისხმევით, მაგრამ მაინც ახერხებდა თავისი მდიდარი მეზობელი **„შეეფასებინა“**, როგორც **„მათხოვარი“**. წინააღმდეგ შემთხვევაში მეზობელს შავი ღღე დაადგებოდა.*

მეზობლების დასმენა და ჩაშვებამ ახალ, უფრო საშიშ მიმართულებას, ანონიმური წერილების წერას დაუდო საფუძველი, რამაც უამრავი ოჯახი გააუბედურა. როცა ანონიმები ხელისუფლებას და პარტიასაც გადასწვდნენ, ისინი იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ ანონიმური წერილების განხილვაზე.

კომუნისტურ პარტიას ვერ უშველა სიმდიდრის წინააღმდეგ ბრძოლამ, ადამიანების გაუბედურებამ, ჩაშვებამ. და ა. შ. 80-იანი წლის მეორე ნახევარში კომუნისტური პარტიის რეიტინგი სულ უფრო და უფრო ეცემოდა, საფრთხე შეექმნა თვით პარტიის არსებობას. ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო. პარტიამ დროის გასაყვანად ჩვეულ ხერხს მიმართა: კომუნისტებს, არა თუ სხვა, საკუთარი თავი უნდა დაესმინა, ჩაეშვა, რომელსაც ერქვა კომუნისტის თვითკრიტიკა, თვითშეფასება. თანამედროვე ლექსიკონით – კომუნისტის რეფლექსია.

მე მქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდი, ღია პარტიულ კრებაზე, რამდენიმე კომუნისტის რეფლექსიას. ყველა კომუნისტი რეფლექსიას იწყებდა იმით, რომ მათი მშობლები მუშათა კლასის რიგებიდან ან გლეხები იყვნენ. სკოლის დამთავრებისას პირდაპირ უმაღლესში კი არ ირიცხებოდნენ, მშობლების რჩევით შრომით საქმიანობას იწყებდნენ ფაბრიკებში, შახტებში, მეცხოველეობის ფერმებში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ მოიპოვებდნენ საგზურს და ირიცხებოდნენ უმაღლესში. ასეთი დასაწყისით კომუნისტები დადებით ქულებს აგროვებდნენ.

თვითშეფასებისას კომუნისტები საუბრობდნენ მხოლოდ თავიანთ სუსტ და უარყოფით მხარეებზე. იყვნენ ძალიან თვითკრიტიკულები. როგორც იტყვიან, საკუთარ თავს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, იმ დროიდან უკვე სულ მალე, პარტია და რეფლექსია ერთად დასამარდა.

პარტიის ეს გამოცდილება კარგი გაკვეთილი უნდა იყოს განათლების სამინისტროსთვის, რომელიც მასწავლებლის თვითშეფასებით აპირებს წარუმატებელი რეფორმა წარმატებულად აქციოს. ეს იქნება მხოლოდ დროის გაყვანის მცდელობა.

დღეს არავინ იცის ძველი რეფორმა გრძელდება თუ ახალი დაიწყო. თუ ახალი რეფორმა დაიწყო, ძველისგან არაფერი არ შეუცვლიათ. თუ ახალი დაიწყო, რა ვადით, განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი? მაინც რა არის მასწავლებლის თვითშეფასება, ჯადო თუ ოქროს თევზი?

*მკითხველს შევახსენებ რამდენიმე **„მარგალიტს“** მასწავლებლის თვითშეფასების **„საგანძურიდან“**, კომენტარის გარეშე, რადგან კომენტარები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს მათ იმედად მყოფთ.*

- ***„თვითშეფასება ხელს უწყობს სკოლის მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას პროფესიული განვითარებისათვის“.***
- ***„თვითშეფასება ზრდის მასწავლებლის პასუხისმგებლობასა და დამოუკიდებლობას“.***
- ***„თვითშეფასების დახმარებით მასწავლებელი აღმოაჩენს და გადაჭრის ისეთ პრობლემებსაც, რომელთა არსებობაც არც კი ჰქონდა გაცნობიერებული თვითშეფასებამდე“.***
- ***„თვითშეფასება მასწავლებელი მოსწავლეს უყურებს არა როგორც ცოდნის მიმღებს, არამედ შემოქმედს რომელიც იდეებს აწვდის მასწავლებელს“.***
- ***„თვითშეფასების პროცესი მასწავლებლის პროფესიული და პიროვნული განვითარების ნაწილია“.***
- ***„თვითშეფასება მასწავლებელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში შემსწავლელად აქცევს“ და ა.შ.***

*მე არ მეგულება თუნდაც ერთი მასწავლებელი, რომელსაც სწამდეს და სჯეროდეს ჩამოთვლილი **„მარგალიტების“ „ლამაზი“** იდეების. თვითშეფასება მართლაც თუ ასეთი **„ჯადო“** და **„ოქროს“** თევზია, მაშინ რატომ არ დავიწყეთ თავიდანვე თვითშეფასებით, კრახით დასრულებული, განათლების 12-წლიანი რეფორმა?..*

ᲓᲔᲛᲣᲠ ᲙᲣᲮᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ᲩᲮᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲐ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘ

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

კაცობრიობის პირველი ენა

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ძველი აიელები ანუ კოლხები მესეფთა მოდგმას განეკუთვნებოდა. მესეფნი იყვნენ ერთ-ერთი ვინც წინარე კაცობრიობას ცივილიზაცია მისცეს. გონისა და მიმართულების მიმცემი იყო და არის დღესაც (უმთავრესად სულიერი თვალსაზრისით) ძველი კოლხეთს ტერიტორიაზე არსებული მისი პირდაპირი შთამომავალი სამეგრელოს სახით. შეიძლება ითქვას, რომ ბაბილონის გოდოლის წინანდელ, ერთიანი ენის პირდაპირ ნათესავ მეგრულ – ლაზურ ენას არ შეიძლება მოეპოვებოდეს ბარბარიზმები, რადგანაც ყველა სიტყვა ღვთისაგან შექმნილ პირველი ენისგან გამომდინარეობს. ასევე მსოფლიოს ასო-ნიშანთა პირველსაწყისი გამოსახულება მესეფ ღვთაებებიდან არის წარმოშობილი, რაც მინიშნებულია სიმბოლურად მეგრულ მითებში მესეფთა შესახებ (იხ. მეგრული ზღაპრები და მითები. გვ. 233 – 234. თბილისი, 1994წ.)

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ფინიკიელები იყვნენ დამწერლობის პირველშემქმნელნი. ცნობილია, რომ ფინიკიელები ისტორიულ ფინიკიაში მოსულნი იყვნენ. იმ ტერიტორიაზე მათზე ადრე მაღალგანვითარებული პროტოკოლხები ცხოვრობდნენ, რომლებიც მათთან მონათესავე მინოსურ კულტურასთან იყვნენ დაახლოებულნი. თუ ფინიკიელები დამწერლობაში პირველებად ითვლებიან და თუ შუმერებიდან იწყება ისტორია, ჩვენი პროტოკოლხური ნათესავი ნული იყო მათს წინ და, როგორც მოგეხსენებათ, ნულიდან იწყება ათვლის წერტილი. ნული ღვთაებრივი მარადიულობის, გონის, თავის სიმბოლიკაა, რაც ღვთაებრივ ბუნებას გამოხატავს. რადგან ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანს უმთავრესად თავისი მნიშვნელოვანება და ქვენა გრძნობები აწუხებს. ადამიანურობა მდგომარეობს ძირითადად იმაში, რომ ის ვიღაცას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო ღვთაებრიობა ამ მიდრეკილებების დათრგუნვაშია. მესეფნი, რომელნიც ნულის სისტემით ცხოვრობდნენ, იყვნენ წარმართი ღვთაებები, გველისებრ სიბრძნის უსახელო ბრძენკაცნი. ნული ზეციურობასთან შეერთებაა, რადგანაც მარადიულობა ნულისებრ ფორმისაა – არც საწყისი აქვს და არც დასასრული.

შანური, იგივე ჭანური მოდგმა, რაც განმარტებით San-Sante-SANT წმინდას, შანუა – ნიშნობას, ხელდასმულობას ნიშნავს. მეგრელები ზეციური ცოდნის პირველმიმღებნი იყვნენ. მოგეხსენებათ, რომ კოლხთა ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი კერპი მუხაც ბრძენკაცთა მინიშნებით კოსმიური ცოდნის მიმღები იყო. მუხის თაყვანისმცემლები კი მუხას ემსგავსებოდნენ და ბერმუხები დიდ სამყაროსეულ ცოდნას ფლობდნენ.

ძველი ბერძენი მოგზაური სტრაბონი წერდა, რომ შავი ზღვის პირას გაშლილი ვრცელი სამეფო კოლხა სვანთა, ქვეყნად ერთ-ერთი უძველესი და უსრულქმნილესი ანბანის (უკეთ ანბანთა) შემქმნელი, მაშვრალი, მამაცი, დახელოვნებული ხალხი, რომელსაც უმდიდრესი საზღვაო ტერმინოლოგია აქვს საკუთარი და არა ნასესხები (იხ. აკაკი გელოვანის **„მითოლოგიური ლექსიკონი“,** გვ. 87, თბ. 1983წ.)

მეცნიერი ა. ურუშაძის წიგნ **„ბერძნულ ენაში“** (თბ. 1987წ, გვ.5) მითითებულია: **„წინარე ბერძნულ სამყაროს გააჩნდა მაღალგანვითარებული კულტურა, რის საფუძველზეც ბერძნებმა გაამდიდრეს საკუთარი ლექსიკური მარაგი. იმავე წიგნში წერია, რომ ჩვენი ნათესავისგან შეითვისეს დამწერლობა და რამდენიმე საუკუნის შემდეგ შექმნეს საკუთარი დამწერლობა ფინიკიურზე დაყრდნობით“** (გვ.8).

მცირე ერთა და ეთნოსთა დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტში, სხვადასხვა ისტორიულ და მეცნიერულ წყაროებიდან მიღებულ, წინარე კოლხური ხანის ასო-ნიშნების საფუძველზე (რომლებიც უძველესი მსოფლიოს უზარმაზარ ტერიტორიებზე იყო გამოყენებული), ღვთის მადლით, სულიერებიდან გამომდინარე, შეიქმნა დღევანდელი კოლხური ანუ აიური დამწერლობის ანალიტიკური ვერსია. ზეციური მადლით მინიშნებული ეს დამწერლობა იმ უძველესი ხანის დიდ ტერიტორიებზე განფენილი ძველი აიური მოდგმის დიდების გამომხატველია.

წინარე კოლხური ლაზარეს ენაა

ქრისტესმიერი სიყვარულით და მისი მადლით მოგახსენებთ, ძვირფასო მკითხველო, რომ წინარე კოლხური ლაზარეს ენა, რომელიც მარგალიტისებურად ბრწყინავს დღევანდელ მეგრულ ენაში, განსაკუთრებით, მის ფოლკლორულ სიდიადეში. დიდებული წინარე კოლხური, იგივე იბერული ენაა და დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია მსოფლიოში. ის თავისი მშვენიერი ლირიზმით დიადი წარსულის გამოძახილია. კოლხურისგანაა წარმოშობილი სვანური და ქართული ენებიც.

კაცობრიობის პირველი ენის (რომელიც ბაბილონის გოდოლის აშენებისას დანაწევრდა) პირდაპირი ნათესავი დამდაბლებულ და დაწუნებულ მეგრულ ენაში სულიერი თვალსაზრისით დამალულია დიდი საკრალური ცოდნა, რომელიც იყო და არის მთელი კაცობრიობისათვისა გონისა და მიმართულების მიმცემი. ღვთის წინაშე შემკული და კურთხეული ენაა. იგივე მოდგმა ელის იესო ქრისტეს მეორედ მოსვლას, რომ კოლხური (მეგრული) ენის აღორძინებით მიეცეს მთელ კაცობრიობას ქრისტეს ნათელი. ლაზარეს აღორძინებით იქნება კოლხას (აიას) გაბრწყინება.

ღვთის მადლით წინარე კოლხურის აღსადგენად უნდა მოხდეს მის პირდაპირ შთამომავალ მეგრულ ენასთან დაკავშირებით გენეტიკურად ახლოს მყოფი იბერულ – კავკასიურ, ინდოევროპულ და სემიტურ ენებში კოლხური ფესვების ძიება.

წმინდა წერილში ნათქვამია, ვინც პირველი იყო უკანასკნელ ჟამსაც ის იქნება პირველი. წინარე ისტორიულ ხანის დასრულებისას კაცობრიობის ცივილიზაციის მიღება ოქროს საწმისის კრავთანაა დაკავშირებული, რომელიც აგრეთვე უკავშირდება ბოლო ჟამის პერიოდს აპოკალიფსური კრავის სახით. პირველი და უკანასკნელის შეერთება მარადიულ წრიულ ფორმას ქმნის. მარადისობა რომ დამკვიდრდეს, ჭეშმარიტებამ უნდა იზეიმოს. ხოლო ვინც ჭეშმარიტებას შეიცნობს, ის გაათავისუფლებს მას. ჭეშმარიტი თავისუფლება ქრისტეს ნათელით უნდა გამობრწყინდეს, რაც ახალი იერუსალიმის დამკვიდრებას ნიშნავს, რადგან ენებითა და სისხლით მოპოვებული თავისუფლება წუთისოფელივით დროებითია.

თავისუფლება ჭეშმარიტებაშია

„შეიცან ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება განგათავისუფლებს შენ“ – გვმოძღვრავს წმინდა წერილი, და მართლაც, ნამდვილი თავისუფლება ჭეშმარიტების შემეცნებაშია. გონებრივი წინსვლა, მრავალმხრივი სიბრძნე და სიმართლე, რომელიც სადი აზროვნების საუნჯეა და მისი არსებობის წარმმართველი, აიძულებს გრძნობებს დაემორჩილოს მას, ხდება შეგრძნებათა მმართველი, თავის თავის უფალი. ადამიანის ყველაზე დიდი მტერი თავისუფლებისა და გადარჩენის გზაზე, პირველ რიგში საკუთარი თავია, რომელიც საკუთარი და წინაპრების ცოდვა-მადლითაა დამძიმებული. შემდეგ მისი მტერია საზოგადოება და ეშმაკი. დემონი, როგორც ბოროტი სული, ვნებებს თესავს დედამიწაზე, რა თქმა უნდა, ადამიანთა ცოდვების გამო და მათივე მოწვევით, ფსევდოთავისუფლებაზე ქადაგებით, დაღუპვისაკენ მიჰყავს ადამიანთა სულები, როგორც ამქვეყნად, ისე იმქვეყნად სატანჯველში ამყოფებს მათ. ადამის შეცდომის შემდეგ ისტორიულად არსებული ყველა ცივილიზაცია ადამიანთა ვნებითაა შექმნილი, რომლის დროსაც გონებას უმთავრესად ეუფლება ვნება. ამიტომ კაცობრიობა სულ შფოთსა და ომებში იყო. გრძნობითი განცდა, რაც ვნებისგან ჩნდება, დროებითია. იკარგებოდა და იკარგებოდა სამოთხის მარადიულობის გაგება და ადამიანთა ამ ცოდვით დამძიმებულ სამყოფელს წუთისოფელი დაერქვა. ადამიანი კარგავს თავისუფლების ჭეშმარიტ გააზრებას. ვნებისგან აღტკინებული თავისუფლებას უწოდებდა იმ დროებით გატაცებას, რომელიც მას წუთისოფლის ტყვეობაში აქცევდა და ბიწიერების ჭაობში ცოდვით დაცემულს სულ თავისკენ ექაჩებოდა. ყველაზე დიდი უბედურებაა, როცა ადამიანმა არ იცის თავისი ვნებათა საზღვარი.

ნამდვილი თავისუფლება ბედის ნებიერებაშია, რაც თავის თავზე გამარჯვებით მოიპოვება. როდესაც ადამიანის გონებრივი და გრძნობითი სამყარო ისწრაფვის ღმერთის მსგავსებისაკენ. ე.ი. ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ, რომლის ნაყოფია სამოთხისეული ნეტარება მართლმადიდებლური ეკლესიური ცხოვრებით, სულიერი განწმენდით, ღვთის შეწევნით, ვნებათა ძლევით ადამიანი პოულობს სვებედნიერ ამაღლებულ განცდას, რაც მის სულს ძალიან სჭირდება. ის ემსგავსება იმ ფრთამალ ფრინველს, რომელიც მიისწრაფვის მაღლა და მაღლა, რომლისთვისაც თითქოს არ არსებობს არც ზღვარი და არც შებოჭილობა. სახარებაში ნათქვამია: **„ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.“ „ითხოვეთ და მოგეცემათ.“ „დააკაკუნეთ და გაგეღებათ.“** რაც მთავარია სხვისადმი მიმართული ჩვენი სურვილები, კარგი თუ ცუდი ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება. ნუ განვიკითხავთ სხვას და არც ჩვენ განვიკითხებით. კეთილგონიერებით ისაუბრეთ დადებით და უარყოფით ფაქტებზე და კეთილგონიერებითვე მოგეგებათ თქვენ! შეიძლება ადამიანი სასახლეში ცხოვრობდეს და ათასობით მსახური ჰყავდეს, მაგრამ მონა იყოს თავისი ზნედაცემული გულისთქმებისა, რადგანაც ყველაზე მდიდარი ის ადამიანია, ვინც მცირედითაც კმაყოფილია. ასე რომ ჭეშმარიტი თავისუფლება ნეტარებაშია, რაც ღვთისა და მოყვასის დიდი სიყვარულით მოიპოვება. როგორც ვიცით, დედამიწა დამძიმებულია ცოდვებით. ნამდვილ სრულ თავისუფლებასა და ნეტარებას ადამიანის უკვდავი სული ზეცაში ჰპოვებს, რადგანაც მისი ხორციელება პირველქმნილი ცოდვის გამო ცოდვისკენაა მიდრეკილი.

ასე რომ ადამის მოდგმას უნდა ახსოვდეს დღევანდელი მისი ჭირთამენა და სიმართლისათვის, ქრისტეს სახელისათვის დევნა მის შთამომავლობას წაადგება. ვნებით თუ სისხლით მოპოვებული თავისუფლება, პიროვნული იქნება ეს თუ საქვეყნო, დროებითია!

მისი სიტყვა მარცვალია, ზოგი სად მოხვდება ზოგიც სად... ნუ დააბნევთ, იკვებეთ და კვებეთ სხვაც.

მალხაზ გრიგოლია

ერთი დასანანი კაზუსის შესახებ

გაზეთ “ილორის” 8-15 დეკემბრის (№343) ნომერში დაისტამბა “საერთო გაზეთიდან” გადმობეჭდილი წერილი სათაურით “რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში აკლდამა?”. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გარკვეული ძალების მცდელობის შედეგად დაიბლოკა რედაქციის ელფოსტა, რამაც გარკვეული ხარვეზები წარმოშვა და შეუძლებელი გახდა სარედაქციო პორტფელის გადამოწმება. სწორედ აღნიშნული ტექნიკური მიზეზების გამო საჭირო შეიქმნა წერილის ოდნავ შემოკლება. ამ მიზეზით, გამოვიდა ისე, რომ სრულ ინტერვიუს იძლეოდა ახალგაზრდა ადამიანი ლევან ხუბულავა, სინამდვილეში კი ხუბულავა პასუხობდა ჟურნალისტის მხოლოდ პირველ ორ შეკითხვას, დანარჩენი ინტერვიუ კი ეკუთვნოდა ქალბატონ თამარ დადიანს. სწორედ ეს უზუსტობა გახდა დადიანთა ერთ-ერთი შთამომავლის ქალბატონ თამარ დადიანის გულისწყრომის მიზეზი. იმის გამო, რომ თითქოს დაირღვა ობიექტური ჭეშმარიტება, ქალბატონმა თამარმა რედაქციას გამოუგზავნა საკმაოდ მკაცრი შინაარსის წერილი, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს:

“გაზეთ „ილორის“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო,

მსურს გაუწყოთ შენიშვნის სახით წარმოქმნილი ჩემი, როგორც დიდებულთა გვარის, ძირძველ დადიანთა შთამომავალი და ბოლშევიკ ხელისუფალთა მიერ დღემდე დევნილის აზრი თქვენს წინა ნომერში, კერძოდ მიმდინარე წლის 8-15 დეკემბრის №343 (402) ნომერში შემოკლებით დაბეჭდილი მასალაში სათაურით: **„რა საიდუმლოს მალავს ეკის სამონასტრო კომპლექსში არსებული აკლდამა“** – ხელოვნურად თუ არახელოვნურად ზოგიერთი ისტორიული ფაქტის დამახინჯებასთან დაკავშირებით, რაც მდგომარეობს შემდეგში:

„საერთო გაზეთიდან“ შემოკლებით გადმობეჭდილ მასალაში ერთ-ერთი რესპონდენტი, კერძოდ ლევან ხუბულავა არის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის ახალგაზრდული განყოფილების ლიდერი, რომელიც ნამდვილად იბრძვის დადიანთა ნატახტარის ტერიტორიაზე (სოფელ ეკის) აღმოჩენილ რეპრესირებულ-დახვრეტილ ადამიანთა ისტორიების დასადგენად და მომხდარი ფაქტისადმი სამართლებრივი შეფასებისათვის. **„საერთო გაზეთის“** მასალაში გამოქვეყნებული სხვა საკითხები ნამდვილად არ ეხება 20 წლის მოღვაწეს – ლევან ხუბულავას და ის არ არის ასევე დადიანთა გვარის მემკვიდრე, მითმეტად წაგლეჯილი ქონების დაბრუნებისთვის მებრძოლი. ამ საკითხებს კონკრეტულად შეეხო დადიანთა გვარის წარმომადგენელი.

პატივცემულო რედაქტორო,

გთხოვთ მოიძიოთ **„საერთო გაზეთში“** გამოქვეყნებული სრული მასალა, კარგად შეისწავლოთ და გამოასწოროთ დაშვებული შეცდომა. ისტორიულ ფაქტებთან და მემკვიდრეობის საკითხებთან მეტი დაფიქრება გვჭირდება.

მადლობთ.

ბოლშევიკ ხელისუფალთა მიერ დევნილი, ძირძველ დადიანთა წარმომადგენელი

თამარ დადიანი”

რედაქციის კომენტარი:

ქალბატონო თამარ,

შეგვიძლია დაგამშვიდოთ – გაზეთ “ილორს” სრულიად არ აინტერესებს, თუ რა შედეგით დასრულდება დადიანის მემკვიდრეთა შორის გაჩაღებული ქონებრივი ძიებილაობა და ვის დადიანთა გადაბრეცილი ნალია დარჩება საკუთრებაში, ვის – დაფხავებული საქათმე, ხოლო ვის – ძირგავარდნილი ტაშტი. ჩვენ უფრო ნანგრევებად ქცეული ისტორიული ძეგლების ბედი გვაინტერესებს, რომელსაც, როგორც ჩანს, არც დიდებულ გვარიშვილთა ახლო თუ შორეული მემკვიდრეები აქცევენ დიდ ყურადღებას და არც ხელისუფლების წარმომადგენლები. ამიტომ, თქვენ შეგიძლიათ “მშვიდად” გაგრძელოდ დავა დადიანთა ქონებრივი მემკვიდრეობისათვის, ჩვენ კი კვლავაც ხშირად გამოვაქვეყნებთ მასალებს საქართველოში ისტორიული ძეგლების სავალალო მდგომარეობის შესახებ. საწყენი ისაა მხოლოდ, რომ მავანნი ამ სიძველეებში მხოლოდ პირად საკუთრებას ხედავენ და არა ქვეყნისათვის სანუკვარ ისტორიულ ძეგლებს.

სწორედ ეს იქნება მუდამ ჩვენი ზრუნვის საგანი!

ღრმა პატივისცემით,

როლანდ ჯალაღანია,
გაზეთ “ილორის” მთავარი
რედაქტორი

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ — 2016 ᲬᲔᲚᲡ!

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ: ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲐᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ. ᲣᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲛ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲓᲦᲔᲔᲑᲡ ᲐᲑᲣᲩᲐᲓ ᲐᲘᲒᲓᲔᲑᲡ

საქართველოს თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის განცხადებით, ერთი წლის წინათ ყველა ენთუზიაზმით უყურებდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს, ფიქრობდა, რომ ეს შეზღუდვები რუსეთში გამოიწვევდა ეკონომიკის დაცემას, ხალხი გავიდოდა ქვეყნიდან და ხელისუფლება გამოფხიზლდებოდა. თუმცა ერთი წლის წინათ მინისტრი იმასაც ამბობდა, რომ რუსეთი არის ქვეყანა, რომლის მკვიდრნი ლენინგრადის ბლოკადის დროს, 900 დღე, ვირთხებსა და კატებს ჭამდნენ. **"კრიზისი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, მაგრამ ისინი გადარჩნენ და გაიმარჯვეს. სწორედ ამ ქვეყანასთან გვაქვს საქმე. ცნება სიდუხჭირისა და ბედნიერების, რაც აქ ამერიკაში გვაქვს, ან საფრანგეთში, ან იტალიაში, არის სრულიად შეუსაბამო და სწორედ ეს არის შეცდომა, რომელსაც ყველა ვუშვებთ"**, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

"ჩვენ გვაქვს თემების წამოწევის მიზეზი. მთავარი საკითხია საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან მკაფიო ანტირუსული რიტორიკა. პირველ რიგში, ეს ეხება თავდაცვის მინისტრ ხიდაშელს, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთისთვის სანქციები სულერთია, რადგან ეს ხალხი მიჩვეულია ძაღლებისა და კატების ჭამას (იგულისხმება ლენინგრადის ბლოკადა). ეს უკვე აღემატება ყველა ზღვარს. რაც შეეხება ნატო-ს, ჩვენთვის სულერთი არ არის, რომელ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში არიან ჩვენი მეზობლები. რა თქმა უნდა, გვაშფოთებს რუსეთის საზღვრებთან ნატო-ს სხვადასხვა ცენტრისა და ოფისის გახსნა. ეჭვი არავის შეეპაროს, რომ პოზიციას არ შევიცვლით. გეოპოლიტიკური ამოცანები ეროვნული ინტერესების მიხედვით უნდა გადაიჭრას. არჩევანი კი საქართველოს ხელისუფლებაზეა", – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა.

კარასინის ამ განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს მაშინდელი საგარეო მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი: **"მე არ მჯერა, რომ თინას ეთქვას რაიმე ასეთი ლენინგრადის ბლოკადის შესახებ. ეს მოვლენა იყო გმირობის მაგალითი საბჭოთა კავშირის ერების არაერთი წარმომადგენლისა და ის ისეთივე ხელშეუხებელი და ისეთივე საამაყოა, როგორც ძალიან ბევრი ასეთი გმირობა მრავალი ერის ბრძოლისას ფაშიზმის წინააღმდეგ, ამიტომ მე არა მგონია, რომ თინას ასეთი რამ ეთქვას".**

მინისტრ ხიდაშელის ბოლოდროინდელ განცხადებებსა და მათგან მომდინარე შესაძლო საფრთხეებზე **პოლიტოლოგი ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ** გვესაუბრება.

– ბატონო ვალერი, ბევრი პოლიტოლოგი სოციალურ ქსელში აღშფოთებას ვერ მალავს თავდაცვის მინისტრის უპასუხისმგებლო განცხადებების გამო. თინა ხიდაშელის შეურაცხმყოფელი განცხადება ლენინგრადის ბლოკადის დროს რუსი ხალხის გმირობაზე რუსეთის საგარეო უწყებამ ცხვირწინ აგვიფრიალა...

– თინა ხიდაშელის საქციელი დაუფიქრებელი, უკულტურო, გაუნათლებელი ადამიანის საქციელია. ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში რუსმა ხალხმა არნახული გმირობა გამოიჩინა. უზრდელი და გაუნათლებელია ყველა, ვინც ამ გმირულ დღეებს აბუჩად აიგდებს, მაგრამ ამაში თინა ხიდაშელი არ არის დამნაშავე, დამნაშავეა საქართველოს ყველა ხელისუფლება, რადგან 25 წელია, საქართველო მხოლოდ რუსეთის შეურაცხყოფით არის დაკავებული – წლების განმავლობაში მთავრობებმა ხაზი გადაუსვეს იმ დიდ და მართლაც, შეუდარებლად ლამაზ ურთიერთობებს, რომლებიც საქართველოსა და რუსეთს ჰქონდა.

– ხიდაშელის ამ განცხადებას გრიგორი კარასინი გამოეხმაურა და რამდენიმე დღეში რუსეთის თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია...

– არა მგონია, საჰაერო სივრცის დარღვევა ხიდაშელის განცხადების გამო მომხდარიყო. თურქეთმა თვითმფრინავი ჩამოუგდო რუსეთს და ომი მათთან არ დაუწყია და, მით უმეტეს, თინა ხიდაშელს ამხელა მნიშვნელობას არ მიანიჭებდნენ. კარასინმა კი ნამდვილად გაბრაზებულმა ისაუბრა ამ თემაზე. ქართველი პოლიტიკოსების დაუფიქრებელი საუბრები წვეთწვეთობით ავსებს რუსეთის მოთმინების ფიალას და ორ ერს შორის გაუგებრობასა და დაპირისპირებას აღრმავებს.

– მართალია, ერთი თინა ხიდაშელი ხელისუფლება არ არის, მაგრამ, როდესაც მის განცხადებებს ქვეყნის მთავრობის მეთაური უპასუხოდ ტოვებს, ამ შემთხვევაში იგულისხმება თუ არა, რომ თავდაცვის მინისტრი მთავრობის პოზიციას გამოხატავს?

– ხიდაშელი ამ განცხადების გამო აუცილებლად უნდა დასჯილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ხმამაღლა თქვა ის, რასაც მთავრობა ფიქრობს. საერთოდ, დიდი შეცდომა და დიპლომატიური სიბეცეა, როდესაც ერთი რომელიმე სახელმწიფო მეორეს ასე შეურაცხყოფს. ეს არავის უნდა შერჩეს, ამ შემთხვევაში დანაშაული თავდაცვის მინისტრმა ჩაიდინა და, თუ მას მთელი ხელისუფლება არ ემხრობა, მაშინ თანამდებობიდან უნდა გაეთავისუფლებინათ ან ბოდიში მაინც მოეხდევინებინათ მისთვის. საგარეო საქმეთა მინისტრმა რაღაც ბოდიშის მაგვარი კი ამოილუღლუღა, მაგრამ ასეთი ბოდიში შეცდომაზე უარესია. მის განცხადებას გულწრფელობა აკლდა...

– საკითხისადმი საქართველოს ხელისუფლების ასეთმა მიდგომამ რა ზიანი შეიძლება მოგვაყენოს?

– რუსეთთან უხეშ საუბარს ძალიან დიდი და ძლიერი სახელმწიფოებიც ვერ ბედავენ. ევროპისა და აზიის უდიდესი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, ვისთან აქვთ საქმე. სამწუხაროდ, საქართველო ამას არ აკეთებს, რაც გვეტყობა კიდეც. ჩვენი სახელმწიფო სამ ნაწილად არის დაყოფილი, მაგრამ ისეთი სახე გვაქვს, თითქოს სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყოთ, თითქოს ჩვენი იურისდიქცია ყველგან ვრცელდება. არადა, საქართველო არის დანაწევრებული ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტილებებს თვითონ ვერ იღებს და ყოველ ნაბიჯზე კარნახობენ, რა თქვას და მოიმოქმედოს. ჩვენი მთავრობა ამერიკის მიერ, ამერიკის ელჩის ხელით იმართება.

– საქართველოს დიდი საფრთხე ემუქრება "ისლამური სახელმწიფოსგან", თუ რუსეთმა ბოლომდე იბრძოლა და ტერორისტული სახელმწიფო დაშალა, ბევრი ტერორისტი თავშესაფრის ძებნას საქართველოში ეცდება. ვინ დაიცავს საქართველოს მოსალოდნელი საფრთხისგან – ნატო?

– **ნატო** თავის თავს ვერ იცავს, რადგან **ნატო**-ს **"დირექტორი"** – ამერიკა, თვითონვე არის ტერორისტული სახელმწიფოს შემქმნელი და მკვებავი. რამდენიმე ხნის წინათ რუსეთის პრეზიდენტი გამოვიდა და პირდაპირ დაადანაშაულა თურქეთი – **ნატო**-ს წევრი ქვეყანა, რომ ის **"ისლამური სახელმწიფოს"** ნაქურდალ ნავთობს ატარებს თავის ტერიტორიაზე და გააქვს მსოფლიო ბაზარზე. ვლადიმერ პუტინმა ფაქტები გამოამზეურა, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია. ეს ტერორისტებთან თანამშრომლობაა.

ამერიკამ **"ისლამური სახელმწიფო"** ისე შექმნა, როგორც საერთაშორისო დანიშნულების მქონე სტრატეგიული იარაღი. ტერორისტული სახელმწიფო ბირთვული იარაღის საპირწონედ შექმნეს, რადგან ბირთვული იარაღი დამანგრეველია და მისი გამოყენება არავის სურს. **"ისლამური სახელმწიფოს"** შექმნით ამერიკელებმა კაცობრიობის ისტორიაში არნახული და გაუგონარი რამ ჩაიდინეს – ტერორისტებს სახელმწიფო შეაქმნევინეს.

ეს მონსტრი ჩვენს ქვეყანასაც ემუქრება, ტერორისტებს საქართველო საკუთარ ვილაიეთად აქვთ გამოცხადებული. მხსნელი მხოლოდ რუსეთია, მხოლოდ მას შეუძლია **"ისლამური სახელმწიფოს"** ბედის გადაწყვეტა.

საქართველოს ხვალინდელი დღე რუსეთის სიძლიერესა და მის გამარჯვებაზეა დამოკიდებული.

– და, თუ ჩვენი ხელისუფლება განაგრძობს რუსეთის ისეთ შეურაცხყოფას, როგორიც თინა ხიდაშელმა გაბედა, როგორ ფიქრობთ, გვერდით დაგვიდგებიან?

– თუკი რუსეთი იგრძნობს, რომ უარყოფითი იმპულსები, რომლებიც საქართველოდან მიდის, არის გარედან თავსმოხვეული და საქართველოს მოსახლეობა ასე არ ფიქრობს, რა თქმა უნდა, რუსეთის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი შეიცვლება. მეზობელ ქვეყანას უამრავი ბერკეტი აქვს, რომ ჩვენ მათი დამანგრეველი შედეგები ვიწვნიოთ, ამისთვის ომი აუცილებელი არ არის, მაგრამ საბედნიეროდ, ასე არ აკეთებს. რუსეთმა იცის, რომ ქართველი ხალხის დამოკიდებულება მათდამი არ ემთხვევა ხელისუფლების თვალსაზრისს.

– ბატონო ვალერი, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, თინა ხიდაშელის უაპელაციო განცხადებებმა ომში ჩაგვაბას? ჩვენ გვახსოვს 2008 წლის ომი და მისი გამომწვევი მიზეზები.

– არა მგონია, ხიდაშელის განცხადებების გამო რუსეთმა ომი დაგვიწყოს, მაგრამ ცუდია, რომ ხელისუფლებაც ასე ფიქრობს. ამას ხიდაშელის დაუსჯელობა მალაპარაკებს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი თავისი მომზადების დონით, ინტელექტით, მეტყველებით და თუნდაც ჟესტიკულაციით არანაირად არ შეეფერება მინისტრის თანამდებობას. თინას არ აქვს ის განათლება, რომ მინისტრის პორტფელი ჰქონდეს.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲔᲙᲐ ᲜᲐᲡᲧᲘᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გაზეთ "ᲝᲚᲝᲠᲘᲡ" მთავარი რედაქტორის კომენტარი: რაც შეეხება ლენინგრადის ბლოკადას, იგი 1941 წლის 8 სექტემბერს დაიწყო და 1944 წლის 18 იანვარს დამთავრდა.

ეს იყო გერმანელთა მიერ ლენინგრადზე განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, კოდური სახელწოდებით, „ნორდლიხტი" (ანუ ჩრდილოეთის ნათება). ალყაშემორტყმულ ლენინგრადში მიმდინარეობდა ბრძოლა გადარჩენისთვის.

ქალაქში დარჩენილი იყო 2.544.000 ადამიანი (მათ შორის, 400.000 ბავშვი), მეომრები, რომლებიც იცავდნენ ქალაქს, სურსათის მარაგი კი ქალაქს მხოლოდ 1-2 თვე ჰყოფნიდა. ამას დაემატა ისიც, რომ დაბომბვის შედეგად დაიწვა საწყობები, სადაც ინახებოდა სურსათ-სანოვაგის მარაგები. ქალაქში გაჩერდა ყველა სახის ტრანსპორტი, რადგან საწვავი ფაქტიურად არ დარჩა. ქალაქს არ მიეწოდებოდა წყალი და არ ფუნქციონირებდა კანალიზაციის სისტემა, რადგან დაბომბვამ ინფრასტრუქტურა დაანგრია.

შესაბამისად, შემოიღეს ბარათები – 400 გრამი პური მუშებზე და ინჟინერ-ტექნოლოგებზე, ხოლო დანარჩენზე 250-გრამი ერთ სულ ადამიანზე. ცოტა ხანში რესურსების შემცირების გამო, რაციონი კიდევ უფრო შემცირდა და 200-150 გრამი გახდა. დაიწყო შიმშილობა, ხალხი მარადიორობდა, გახშირდა მკვლელობები, ერთი ნაჭერი პურისა და ბარათისთვის კლავდნენ ადამიანს. ესხმოდნენ და არბევდნენ მაღაზიებს, საცხობებს. ხალხი პირდაპირ ქუჩაში ეცემოდა და კვდებოდა. სასოწარკვეთილი ადამიანები ჭამდნენ ყველაფერს – ცხოველებს, ძაღლებს, კატებს, ვირთხებს, ფრინველებს. წებოსგან ხარშავდნენ სუფს, ყლაპავდნენ წამლებს – გლიცერინს, ვაზელინს.

მიუხედავად შიმშილისა და დაბომბვისა, ძალაგამოცლილი ხალხი მიდიოდა ტაძარში, სადაც მსახურობდა ალყაშემორტყმული ქალაქის საყვარელი მწყემსი, მეუფე ალექსი, რომელიც ლენინგრადის ზეციური მეოხის – წმინდა ალექსანდრე ნეველის იმედით ამხნევებდა ხალხს.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე აცხადებს, რომ, თუ ხიდაშელმა ლენინგრადის ბლოკადის შესახებ ასეთი რამ მართლაც თქვა, პრემიერ-მინისტრი ვალდებულია, ან საჯაროდ გაკიცხოს, ან გადააყენოს თანამდებობიდან.

„რუსეთში სწავლების დროს მინახავს ადამიანები, რომლებსაც პასპორტში ბეჭედი ერტყათ იმის დასამტკიცებლად, რომ ლენინგრადის ბლოკადა გადაიტანეს. ისინი უამრავი პრივილეგიით სარგებლობდნენ. ეს წარმოუდგენელი გმირობა იყო. იყო მომენტი, როცა დღიურად 40 გრამი პური ხვდებოდა ადამიანს, წყალი არ იყო, ყინულს ამტვრევდნენ და იქიდან ამოჰქონდათ წყალი. ამიტომ ხიდაშელის განცხადება ჩვენი წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფაა. ეს მაგონებს ოქრუაშვილის უტაქტო განცხადებას, ფეკალიაც გაიყიდება რუსეთშიო. დაკნინდა ჩვენი საზოგადოება, რომ ასეთი რამ რეაქციის გარეშე გაატაროს იმ იმედით, მერე რა, თინა ხიდაშელმა ეს ხომ რუსეთზე თქვა და არა – ამერიკელებზე, ევროპელებზე?! ბოლოს და ბოლოს, ომის პირველ წლებში ინგლისშიც იყო კანიბალიზმი, როცა ლონდონისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. როდესაც მოსკოვზე შეტევა უშედეგოდ დასრულდა, ჰიტლერმა გადაწყვიტა, ბლოკადით აიღო ლენინგრადი. სტალინმა დასავლეთის ფრონტიდან გამოიძახა ჟუკოვი და ლენინგრადის დაცვის მთავარსარდლად დანიშნა. მაშინ ჟუკოვმა არაადამიანური ბრძანება გასცა, დაეხვრიტათ იმ ჯარისკაცის ოჯახის წევრები, რომელიც გერმანელებს ტყვედ ჩაბარდებოდა. თუმცა მალენკოვმა ეს ბრძანება ძლივს გადაათქმევინა თავნება ჟუკოვს. ძალაში დარჩა მხოლოდ ის, რომ ტყვედ ჩაბარებულის ოჯახის წევრებს აღარ აძლევდნენ პურის ბარათებს, რაც შიმშილით სიკვდილს ნიშნავდა",– აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

მისივე თქმით, ინტელიგენტი ოჯახები დისტროფიკები, ჭლექიანები ხდებოდნენ, იხოცებოდნენ, მაგრამ კატისა და ძაღლის ხორცს არ ჭამდნენ. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იპარავდნენ პურის ბარათებს, რადგან ბარათზე სახელი და გვარი არ ეწერა. სოსო ცინცაძე თვლის, რომ ხიდაშელი და რესპუბლიკელები ახლა გრძნობენ, რომ იზრდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც იმედგაცრუება აქვთ გაევროპელების ჭრილში. ამიტომ შესაძლოა, ხიდაშელს მართლაც სურს, რუსეთთან ისე დაძაბოს ურთიერთობა, კონფლიქტამდე მიიყვანოს საქმე, ეგებ, მაშინ მაინც მიგვიღონ ნატო-ში, მაგრამ ამის იმედად ყოფნა სისულელეა.

ისტორიკოსი გიორგი ოთხმეზური აცხადებს, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება და სახელმწიფო მოხელეები ფრთხილად უნდა იყვნენ, როცა ცალკეული ხალხის გაჭირვების თემით აპელირებენ. ისტორიკოსი ფიქრობს, რომ დიდი ხანია, რუსი ერის სიძულვილით იზრდებიან მომავალი თაობები. არადა, შეიძლება რუსული პოლიტიკა არ მოგწონდეს, მაგრამ ეს ერების სიძულვილში არ უნდა გადაიზარდოს.

„ლენინგრადის ბლოკადა მეორე მსოფლიო ომის გმირული ბრძოლის ფურცელია, როცა გაუსაძლის პირობებში მყოფი ხალხი ფაშისტებისაგან იცავდა თავის ქვეყანას. ფაშიზმი არავის გაუმართლებია დედამიწის ზურგზე, ვის წინააღმდეგაც არ უნდა ყოფილიყო ის მიმართული. ლენინგრადის ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამდენ ხანს გაგრძელდა და ამდენი ხნის განმავლობაში გერმანელები არ მოეშვნენ ლენინგრადელებს. ადამიანი ყველაზე დიდი ცხოველია დედამიწის ზურგზე და, როდესაც გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდება, ყველაფერს კადრულობს. ამიტომ ამის მარტო რუსებზე განზოგადება არ შეიძლება. საშინელებები გაუკეთებიათ ყველა ქვეყანაში. მსოფლიოს ნებისმიერი ადამიანი მოიქცევა უღირსად, თუკი ის ჩავარდება გაუსაძლის მდგომარეობაში. ამის მაგალითია "გოლოდომორიც", – აცხადებს გიორგი ოთხმეზური.

ქართველი ხალხის შეურაცხყოფაა ის, რაც, ყოფილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ამ ყ...ე-ქალამ" წამოროშა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს ტუტრუცანა, გაზულუქებული ავყია დედაკაცი ვერასოდეს გაიგებს იმ ლენინგრადელთა თავგანწირვასა და სიმამაცეს, რომლებიც 900 დღე ჩასცქეროდნენ სიკვდილს თვალებში, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან!

გილოცავთ ახალ — 2016 წელს!

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ქართველი გოლიათი – “საქართველოში ჩემი სიმაღლის ჯერჯეროობით არავინ არის”

“სიმაღლის წყალობით, უცხო ადამიანებს ძალიან მოსწონთ ჩემთან ფოტოების გადაღება, მაჩერებენ და სელფს იღებენ”

იცით, ვინ არის საქართველოს საკალათბურთო ისტორიაში ყველაზე მაღალი სპორტსმენი? ცენტრალური თავდამსხმელი სერგო ათუაშვილი, რომლის სიმაღლე 2 მეტრი და 23 სანტიმეტრია.

სერგო ათუაშვილი: – საქართველოში ჩემი სიმაღლის ჯერჯერობით არავინ არის.

– მშობლებიც ასეთივე მაღლები გყავთ?

– მშობლები და და-ძმებიც შუატანისანი არიან. თუმცა, პაპა 199 სანტიმეტრი იყო, დიდი პაპა – 2 მეტრზე მაღალი ყოფილა.

გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში დავიბადე. კალათბურთის თამაში მე-9 კლასიდან დავიწყე და გადმოვედი თბილისში. სკოლის დამთავრებისთანავე ბათუმის **“ბასკოში”** მიმიწვიეს, მერე ესპანეთის **“ვალენსიაში”** გადავედი. ვთამაშობდი საფრანგეთის, ლატვიის, ლიტვის, პორტუგალიისა და სხვა მრავალი ქვეყნის გუნდებში. მოკლედ, ევროპული გუნდები მოვიარე და საქართველოს დავუბრუნდი – **“სოხუმში”** ვთამაშობ. სიმაღლის გამო დისკომფორტი არ მქონია. ერთადერთი – ფრენის დროს მექმნება პრობლემები, ძლივს ვთავსდები თვითმფრინავის სავარძელში. სიმაღლე არც ქალბატონებთან უთიერთობაში მიშლის ხელს. ჩვენთან, ქუჩაში, გაკვირვებული მაყოლებენ თვალს, ევროპაში კი ჩემნაირი ბევრია. განსაკუთრებით მაღლები სერბები არიან, მათ შორის 180 სანტიმეტრი საშუალო სიმაღლედ მიიჩნევა.

სიმაღლის წყალობით, უცხო ადამიანებს ძალიან მოსწონთ ჩემთან ფოტოების გადაღება, მაჩერებენ და სელფს იღებენ. კალათბურთი რომ არა, ფოტომოდელობაზე დავფიქრდებოდი-მეთქი, – ვხუმრობ ხოლმე.

– დაოჯახებული ბრძანდებით?

– არა.

– ხშირად ძალიან მაღლებს დაბალი გოგონები მოსწონთ.

– სიმაღლე არ არის მთავარი კრიტერიუმი, არც ის, შავგვრემანია გოგო, თუ ქერათმიანი, უფრო იმას ვანიჭებ მნიშვნელობას, თუ რამდენად მიადვილდება ურთიერთობა...

– კალათბურთელობაზე ალბათ ბავშვობიდან ოცნებობდით.

– სულაც არა. ბავშვობაში ერთხანს კარატე მიტაცებდა, თუმცა არ დადგა ჩემგან ჯეკი ჩანი. ოჯახის ყველა წევრს საკმაოდ კარგი დამოკიდებულება გვაქვს სპორტთან. ჯანსაღი ცხოვრების წესით ვცხოვრობთ. მამაჩემი და ჩემი ძმა მოჭიდავეები იყვნენ. კალათბურთის გარდა, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გატაცება ავტომანქანებია. ახალი დაბრუნებული ვიყავი საქართველოში, ისე გავიხარე ახალი მაგისტრალი რომ დამხვდა, ნახევარ საათში მეჯვრისხევში ვიყავი. არც გამხსენებია ვიდეოკამერები და სწორედ მათი წყალობით ეს ქროლა 300 ლარი დამიჯდა.

– თვითმფრინავის სავარძელში მოთავსება მიჭირსო, – ამბობთ. ავტომანქანაში არ გექმნებათ პრობლემა?

– მე არა, ჩემ უკან მჯდომმა იდარდოს, რადგან მანქანის სავარძელი თითქმის ბოლომდე მაქვს გაწეული.

– ტანისამოსს სად იძენთ?

– ძირითადად, საზღვარგარეთ ვყიდულობ. ყველაზე მეტად ფეხსაცმლის შერჩევა მიჭირს – ფეხი 52 ზომა მაქვს. რაც შეეხება წონას, 135 კილოგრამი გახლავართ.

– თქვენზე მაღალი ვინ და სად შეგხვედრიათ?

– ვენაში ვიყავი, ვვარჯიშობდი. მე რომ მეგონა, ყველაზე მაღალი ვიყავი მოედანზე, უკნიდან ვიღაცამ ხელი დამადო, მივიხედე და ადამიანის მხრები დავინახე. დაბლა დავიხედე – სკამზე ხომ არ დგას-მეთქი. აღმოჩნდა, რომ 231 სანტიმეტრი სიმაღლის სპორტსმენი იყო. ფერადკანიანი, თანაც მხოლოდ 16 წლისა.

– კიდევ რომელი ქართველი იცით ასეთი მაღალი?

– ჩემს ნაცნობებს შორის არავინ, თუმცა ისტორიას თუ გადავხედავთ, ვახტანგ გორგასალი ყოფილა მაღალი, ზოგიერთი ცნობით, 240 სანტიმეტრი სიმაღლისა.

– უახლოესი გეგმა რა გაქვთ?

– საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი გახლავართ, მინდა მეხუთედაც განვიცადო ეს სიხარული.

რედაქციისაგან: ინტერნეტის მეშვეობით მოვახერხეთ მსოფლიოში სიმაღლის რეკორდსმენის დადგენა და აღმოჩნდა, რომ ჯერჯერობით ამერიკელი მამაკაცი ყოფილა

ყველაზე მაღალი მსოფლიოში

გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი გახლდათ 272 სმ სიმაღლის რობერტ უოდლოუ. იგი ჰიპოფიზით (სხეულის მუდმივი ზრდა, რომლის შეჩერება მედიცინის ჩარევითაც კი შეუძლებელი ხდება) მძიმედ იყო დაავადებული, რამაც გამოიწვია და დააჩქარა მისი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიმაღლეში ზრდა.

რობერტ უოდლოუ დაიბადა 1918 წელს ამერიკის შტატ ილინოისში და გარდაიცვალა 1940 წელს. უოდლოუს გასვენებაში 40 ათასი კაცი მივიდა. მისი სასახლე ნახევარ ტონას იწონიდა და 12 კაცი მიაცილებდა.

ეკა სალაღაია

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ “ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი “კავკასია”, რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

გამოვიდა ჟურნალ „აია“-ს მომდევნო ნომერი (№19), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჯინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს წარმომადგენლობაში.

ტელ. 238-03-11

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩაღგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი). **ტელ: 593-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930

234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge